

გიორგი ყანწარაშვილი

ქართები არიან ქართლიდან

მეცნიერული ნაშრომი

რედაქტორი: ლუიზა დავითაშვილი
ყდის დიზაინი: გიორგი ყანწარაშვილი,
ზაზა ჩარგეიშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ნინო სახეიშვილი

თბილისი 2012

„პირველ, ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და შეხაღნა იგინი კეღარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნ-თურქნი, მსხლომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი: სარკინე-ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრახე, და ციხენი მათნი: ციხე დიდი სარკინისაი, უფლისციხე კასპისა, ურბნისისა და ოძრა-ხისაი.

დაუკვირდა ალექსანდრე და სცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესავნი იყვნეს, ყოველსა ხორციელსა ჭამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შემჭამდეს. და ვერ ეძლო ბრძოლაი მათი მეფესა და წარვიდა.

მაშინ მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი, ჰონნი, და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქუეყანაი ხარკითა და დასხდეს იგინი ზანავს...“

ასე გვამცნობს „მოქცევაი ქართლისაი“ საქართველოს უძველესი ისტორიის ნაპერწკალს, ანუ ქალდეველ-ჰართა შესაბამისად არიან-ქართუელთა გენის, თავიანთ უძველეს მიწა-წყალზე კვლავ დაბრუნებას.

მართალია, ამ გადმოცემის რეალურობას მოგჯერ მეცნიერები კრიტიკულად უდგებიან და ეჭვის თვალითაც უყურებენ, მაგრამ ლეონტი მროველის ეს მცირე და მრავლისმთქმელი წყარო არ უნდა იყოს ჭეშმარიტ-გებას მოკლებული.

მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ, წიგნში მოყვანილი მეცნიერული ნარკვევები დიდმნიშვნელოვანია საქართველოს უძველესი ისტორიისთვის, მაინც დიდი სიფრთხილით ვეკიდები მასში არსებული ცნობების ანალიზს და იმედი მაქვს ის სიმდიდრე, რასაც უცხოეთში სწავლის პერიოდში წავაწყდი და ჩემდაუნებურად ჩემივე კვლევის საგნად იქცა, ბევრ იდუმალ ფაქტს ახდის ფარდას და ქართველ ერს დაუბრუნებს იმ ძვირფასი ეპოქის გულისცემას, რომელიც უამრავი საუკუნის მანძილზე, ცეცხლითა და მახვილით ამოშალეს ისტორიიდან და ძალით მიეცა, საქართველოს მრავალი დამპყრობლის მიერ, საუკუნო დავიწყებას.

საკითხი ეხება, უძველესი "ხურიტების", იგივე "ჰურიტების" ყოფას ჩრდილოეთ-მესოპოტამიაში და მათ ენობრივ უშუალო მსგავსებას, ქართულ ენასთან.

ამოვიკითხე რა, უცხოეთის საცავეებში არსებული ძველი გენის, ენისა და კულტურის წყარო, ყოველ ღონეს ვიხმარ იმისთვის, რათა ქართველი ერის ყურამდე და გულამდე მივიტანო საკუთარ წინაპართა ენით აღუწერელი ძველთაძველი ისტორია.

აქ ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ უნიკალურ აღმოჩენაზე, რაც „მითანის წერილი“-თაა ცნობილი და მისი გაცნობა სრულიად საკმარისი იყო შემეცნო ძირ-ძველი ჰარიან-ჰარიტთა ანუ ჰურიტ-ქარიტთა ენის საოცარი კავშირი ქართულ ენასთან.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

არასაკმარისი წყაროა იმის მიზეზი, რომ მეცნიერთათვის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ხალხის: ენის, ისტორიისა და კულტურის შესახებ, ძალზედ მცირედაა ცნობილი და ჩვენამდე შემონახული, ვიდრე: შუმერების, ბაბილონელების, ჰეთიტების (ანუ ხეთების) და კანაანების შესახებ. თუმცა ამ წყაროებმა, რომლებიც უძველესი ორიენტაციის სახელმწიფო ჩარჩოებში განიხილებიან და მწირ, მაგრამ მყარ მასალებს ეფუძნებიან, უდიდესი შეფასებები და გამოხმაურება ჰპოვა თანამედროვე მსოფლიო მეცნიერების რიგებში.

ამჟამინდელი კვლევის შედეგები, ჰურითო-ქართოლოგიის შესახებ, ორ საწყის ეტაპად განიხილება: ერთის მხრივ, იგი ხორციელდება რამოდენიმე სპეციალშირებულ სფეროში, სადაც მხოლოდ მცირე მასები იღებენ ყურადღების ქვეშ და მეორეს მხრივ, უძველესი „ჰურითული“ მონოგრაფიული მასალები ისეთ ცენტრალურ თემებზეა აგებული, რომლის წყაროებმა და ენამ, მეცნიერთა აზრით, დღეს მნიშვნელობა დაკარგეს.

მისი როგორც ძველი ჰურითთა ხელნაწერების სახე განსაზღვრულია არსებული, ისტორიული განვითარების, ხაზის და ჰურითების კულტურის ხასიათობრივი ფენომენის გამოსაკვლევად. ამასთანავე მკვლევარები შეგუებულნი არიან იმ ფაქტს, რომ ყველა მეთოდური შესაძლებლობა, წყაროების ინტერპრეტაციისას, ყოველთვის არ ესადაგებიან ერთმანეთს და ამიტომ მოგიერთ დაცულ მონაცემებში არსებული გაურკვევლობები (მიუხედავად საკმარისი პოტენციური სიცვლა-ფორმების

გამოყენებისა) ბუნებრივი მოვლენაა. აქ უშუალოდ ციტირებულ ლიტერატურაზე უნდა იქნეს მინიშნე-ბული, რომელიც ძველ ხელნაწერებში მოიპოვება და განსაკუთრებულ, ახალ სამუშაო მეთოდებს ითვალისწინებს. ეს წყარო ჰურითების შესახებ ერთადერთია და მისი კვალი არც ძველ ბიბლიოგრაფიულ ღოკუმენტებში გვხვდება ფართოდ.

ქრონოლოგია, უძველესი ერის ჩამოყალიბებისა დღემდე არ არის მუსტად დადგენილი, თუმცა კვლევის და არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე, შესაძლებელია დადგინდეს, რომ მონაცემები ქრ.შბ-მდე 21 საუკუნის ეპოქას ასახავს.

გრანსკრიფციული ჰურითული სახელები, მკვლევართა აზრითა და გადაწყვეტილებით, არც ფონოლოგიურია და არც ფონეტიკური, არამედ კონვენციური, სადაც დადგენილი არიან ე.წ. „ყრუ ბგერული“ ვარიანტები. (მაგ: ჰეპათ და არა ჰებათ; კუსუჰ და არა კუზუგ... აგრეთვე გამონაკლისები: ზ-ს ნაცვლად ს, ვ-ს ნაცვლად ქ და ა.შ.)

ეს მეთოდური მაგალითები განპირობებულია ძველი ჰურითების ენობრივი დიალექტების გამო, რომლებიც მხოლოდ გარკვეულ სახელებში და სიცვლათა მასალებში გამოიხატებიან და სხვადასხვა პერიოდიდან თუ გეოგორიული ერთეულებიდან გამომდინარეობენ.

მეცნიერები განასხვავებენ მათი ენის 6 დიალექტურ ფორმას, ესენია:

1. ურქიშული დიალექტი;
2. ბაბილონური, რომელიც ბაბილონის და მარის ტექსტებიდან ირკვევა;

3. შუმერულ-ჰურიტული დიალექტი, უგარიტიდან;
4. უგარიტული დიალექტი;
5. ბოგაზკოს დიალექტი;
6. მითანური დიალექტი.

დიალექტების მრავალფეროვნებას თან ერთვის ის, რომ ჰურიტები საერთაშორისო ურთიერთობის დროს, ყოველთვის უცხო ენით, კერძოდ აქადურად, ახორციელებდნენ მიმოწერას. იშვიათი და ერთადერთი გამონაკლისია ამ დროს „მითანის წერილი“, რომელიც უმდიდრეს წყაროს წარმოადგენს მათი ენობრივი ელემენტების შესახებ.

მიუხედავად ამისა, უცხოელი მეცნიერებისთვის, ჰურიტთა ენის სრული გაშიფვრა მაინც დიდ თავსაგებად რჩება. როგორც გვამცნობენ, ისინი ხელნაწერებთან მუშაობის დროს, კვლევებს უდგებოდნენ როგორც კომბინაციური მეთოდით, ისე აქადური ლექსიკონის გამოყენებით. თუმცა გარკვეულ საკითხში მათი მეთოდები ძალას კარგავდა და მკვლევარები ჩიხში ექცეოდნენ.

გერმანელი მეცნიერი, გერნოთ ვილჰელმი, თავის კოლეგა ფერდინანდ ბორქზე, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ჰურიტთა ენის კვლევაში, ამგვარად იუწყება: „თავის ფანტაზიის გარდა ბორქს აქვს ბნელი და გაურკვეველი სიგყვების ახსნის სხვა მეთოდი, ე.წ. ეტიმოლოგიური მეთოდი, რომელიც შეისწავლის სიგყვის წარმომავლობას და რომლის საშუალებითაც იგი მოცემულ ლექსიკას, აქადურ სიგყვებს უმსგავსებს, რადგანაც ჰურიტებს, იმ დროს, მრავალი სიგყვა ჰქონდათ ნასესხები ძველი აქადებისგან.“

გაურკვეველი მეთოდური მიდგომების გამო, არასდროს ყოფილან მეცნიერები ერთაშროვნები და მრავალი დავა წარმოებდა ჰურიტთა ენის წარმომავლობის გარშემო.

დღესდღეობით ამაზე აღარ მსჯელობენ, რადგან ძველი ერის ენისა და კულტურის შესწავლა შეწყდა და ჰურიტოლოგიის საკითხიც, ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც დამთავრებულად ჩათვალებს.

ყოველივე კი ერთი საუკუნის წინ, უფრო სწორედ, XIXს-ის მიწურულსა და XXს-ის დასაწყისში, გათხრების შედეგად აღმოჩენილი წყაროების გაშიფვრით დაიწყო. ჯერ მოიპოვებოდა მხოლოდ რამდენიმე წარმოდგენილი მინიშნებები, სადაც ყველაზე ყურადსაღები იყო უცხო ერისა და კულტურის გარკვეული ენობრივი მსგავსება ურარტულთან (მაგალითად, წარმოშობილი სიგყვა „ჰურადი“, რომელიც გურადადაც იმიფრებოდა და აღნიშნავდა ფხიბელი მეომრის სახეს. მას აკუთვნებდნენ ჰურიტული წარმოშობისას და ურარტულში, აქადურ-სა და განსაკუთრებით, ასურულ უგარიტულ სიგყვათა მარაგშიც მოიპოვებოდა).

სანამ ჰურიტების სახელს, ენას და ისტორიას ლურსმნულ დამწერლობაში აღმოაჩენდნენ, მათი ლექსიკა აქადურ სინონიმთა რიგებში გვევლინებოდა, საიდანაც ცნობილი იყო რამდენიმე ჰურიტული სიგყვა-გერმინი. შემდეგ კი, ქრ.შ-დან 1887 წელს, საამკარაოზე გამოდის, ძველი ეგვიპტის ფარაონების: ამენჰოტეფ III-ისა და ამენჰოტეფ IV-ის (ეხნატონის) დიპლომატიურ არქივებში აღმოჩენილი წყაროები, სადაც არსებული აქადური უცხო და უცნობ ენაში იყო მოცემული. იგი თავდაპირ-

ველად გამოგზავნი ქვეყნის, როგორც „მითანების“, „მითანთა ენის“ სახელწოდებით იშიფრებოდა.

მოგვიანებით, ქრ.მ-დან 1906 წელს წარმოებული გათხრების შედეგად, ხეთურ (ჰეთიგურ) დედაქალაქ ხათუსაში (თანამედროვე ბოგამბო), თავდაპირველი უცნობი, აქალური სახელმწიფო ხელშეკრულებები, შესრულებული იყო იმ უცხო ენაზე, რომელიც დიდ ყურადღების ქვეშ მოექცა და კვლევის შედეგად ცნობილი გახდა როგორც ქვეყანა „ჰური“ და მოსახლეობა „ჰურითების“ სახელით, რომელნიც ასევე „ჰარი“ და ჰართიებად იხსენიებოდნენ.

თავიდან „ჰარის“ განიხილავდნენ როგორც ძველ არიებს და უსადაგებდნენ ე.წ. ინდო-ირანულ ასპექტს, მაგრამ არქეოლოგიურმა გათხრებმა და „ხათუსას“ გეოგრაფიულ ადგილსამ ეს ფაქტი სრულიად შეუსაბამოდ აქცია და გამოაშკარავა, რომ ეს ენა, ჰურითების იმ ენის ნაწილი იყო, რომელსაც ბემოთ ნახსენები მითანის ისტორიული წერილი გადმოგვცემს.

მიუხედავად იმისა, რომ ჰურითები თავიანთ ენას „ჰართთა“ ენად თვლიან, როგორც ეს „მითანის წერილშია“, მეცნიერები მას "სუბერულ" ენადაც მოიხსენიებდნენ, ისე როგორც, ამ ხალხებს, ძველი ბაბილონელები უწოდებდნენ.

ამის თაობაზე არსებულ მცირე გაურკვეველობას ბოლო მოეღო იმით, რომ ჰურითებისა და სუბერების სახელწოდებამ საერთო აღიარება ჰპოვა. (შესაბამისობაშია ჰართიებ-ქართიები და სუბერებ-ჰუბერების გერმინოლოგიით.)

საბოლოოდ მეცნიერებაში ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა, სუბერების ნაცვლად გერმინი „ჰურითები“, რაც ინგლისურად-Hurrian, ფრანგულად-Hourrite, იტალიურად-Hurrico, ხოლო რუსულად-Хуррити სახელწოდებით არის ცნობილი. რაც შეეხება გერმანულს, აქ Hurrisch-Hurritisch ფორმით გამოიხატება, თუმცა გერმანული მეცნიერები იმასაც უსვამენ მკაფიოდ ხაზს, რომ სახელის ფუძე „ჰურ“-„ჰარ“, „ქარ“ადაც გამოითქმის.

ქართულში კი მათი სახელწოდება რუსულიდანაა შემოსული და „ხურიგებად“ არის დამკვიდრებული. თუმცა აქვე დავამატებ, რომ ვინაიდან მათ სახელს ძველი ეგვიპტელები ქერ-ქარ.— ქორუთებადაც წერდნენ, უფრო სამართლიანი იქნება ქართულ გერმინოლოგიაში მათი "ქართიებად" დასახელება.

ხაზგასმით განვაცხადებ, რომ ამის შემდეგ ჰურითების სახელს, ზოგი მეცნიერის ჩანაწერების მიხედვით, "ქართიებადაც" მოვიხსენიებ, რაც უფრო შესაფერის და მართებულ ფორმად მიმაჩნია.

თვით ჰურითების სახელისა და შგოს წარმომავლობას კავკასიის მთიანეთიდან ვარაუდობენ. (შესაძლოა მათი არსი, უძველეს მხარესთან, "ჰერეთთან", იყოს დაკავშირებული. სხვათა შორის "მითანის წერილის" ენობრივი ფორმა, მისი "ნე"-„ვე“ და "ენე" ბოლოსართებით, საოცრად შეესაბამება, როგორც დასავლეთ საქართველოს, ასევე ჰერეთის მკვიდრ, ახლა უკვე ფერეიდანულ ქართველთა, სალაპარაკო დიალექტს.)

ძველი ჰური-ქართების ენობრივი კორპუსი, არქეოლოგთა ძალისხმევით, საგძნობლადაა გამდიდრებული. გათხრების შედეგად: ხათუსაში, მარში, უგარითში და ემარში მოიპოვებიან ახალი ტექსტები, ლექსიკური მნიშვნელობით; ხოლო ათასობით პიროვნული სახელი გვხვდება: ნუმის, ქარუჰანის, ალაღახის და უგარითის გათხრების შედეგადაც.

ჰურიულმა ისგორიამ, კულტურამ და ენამ (ისევე როგორც აქადურმა, შუმერულმა და ჰეთიტურმა ანუ ხეთურმა), მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სამეცნიერო სწავლებაზე, მაგრამ „ჰურიტოლოგია“, როგორც უძველესი სასწავლო დისციპლინა, ცალკეულ საგნად, მაინც არ განვითარებულა. მისით მხოლოდ გარკვეული მეცნიერებათა განყოფილების წევრები არიან დაკავებული.

როგორც მოგახსენეთ, ჰურიული ენის ერთადერთი ჭეშმარიტი წყარო „მითანის წერილია“, რომელიც მათი ცნობით ბილინგვური ხასიათისაა და დიდხანს ექცეოდა ევროპელი და ამერიკელი მეცნიერების განხილვის საგნად.

მიუხედავად მათი დიდი მცდელობისა, ბოლომდე ვერ არკვიეს მისი უმნიშვნელოვანესი, "ჰურიული ვარიანტის" შინაარსი და მკვლევარები მისი ალტერნატიული, "აქადურის ვარიანტით" შემოიფარგლნენ.

წარმოგიდგინთ ამ ისტორიული წერილის ჰურიულ შინაარსს, რამაც საფუძველი მომცა, რომ ასეთ რთულ, მაგრამ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო დოკუმენტებს შევჭიდებოდი.

დარწმუნებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ მისი ენობრივი სტრუქტურის გაშიფვრა, ნათლად წარმოაჩენს უმდიდრეს მონაცემებს, რომელთაც უცყუარი კავშირი გააჩნიათ ქართულ ენასთან.

დღევანდელ ეგვიპტეში, გელ-ამარნაში, ერთერთი რიგითი ეგვიპტელი, რომელიც ფალეჩინთა ეთნიკურ ხალხს განეკუთვნებოდა, ქრ.შ-დან 1887 წელს სრულიად შემთხვევით გადააწყდა უძველეს, თიხის გამომწვარ ფირფიგებს, რომელმაც უცნაური ლურსმნული დამწერლობა იყო ამოგვიფრული. მან ეს დაფა თავის მემობელს მიყიდა, რომელმაც ნაწილებად დაჭრა და სხვადასხვა ანტიკვარით მოვაჭრეებს შესთავაზა. ვინაიდან მასზე გაურკვეველი დამწერლობა იყო, მოვაჭრეებმა ეს დაფა ყალბად ჩათვალეს და ფალეჩინების აფერის-გებად მიიჩნიეს.

გარკვეული დროის შემდეგ გამოკვლევებმა დაადგინეს ამ საუნჯის უცყუარობა და ამოიკითხული იქმნა, დაფაზე არსებული ძველთაძველი ისტორიული მოვლენები.

პირველი ინგლისელი მკვლევარი და ეგვიპტოლოგი, რომელიც ამარნას გათხრებში ჩაება, იყო ვილიამ მეთიუ ფლინდერს პეგრი, რომელმაც 1891-92 წლებში, კიდეც 21-მდე მნიშვნელოვანი ფირფიგა აღმოაჩინა. 1903 წელს კი სამეცნიერო კორპუსის ჩარევამ 24 ფრაგმენტით გაამდიდრა არქეოლოგიური ცნობები.

აქედან უმნიშვნელოვანეს აღმოჩენად, ის ერთადერთი და ორიგინალული დაფა მინდა მოვიყვანო, რომელიც სხვა უამრავ აქადური ენით შესრულებული უძველეს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამოირჩევა

და ორენოვან (ე.წ. ბილინგვურ) -"ჰურიულ-აქადურ" წყაროს წარმოადგენს.

ამ სიახლემ მეცნიერები დიდ საგონებელში ჩააგდო, რადგან საკითხი ეხებოდა, ერთ-ერთი უძველესი ერის მშობლიური ენის გაშიფვრას. წერილი შესრულებულა ქრ.შ-მდე 14 საუკუნეში და წარგზავნილი იყო ჰურიტ-თა მეფის თუშრათას მიერ, ეგვიპტელი ფარაონის, ამენჰოტეფ III-ის სასახლეში. მისი შინაარსი დაწვრილებითაა მოყვანილი ამ წიგნის 56-60 გვერდზე, მაგრამ მოკლედ მოგახსენებთ, რომ იგი ითვალისწინებდა ორ ქვეყანას შორის, სამხედრო სფეროში, ურთიერთდახმარების ხელშეკრულება-მოვალეობის შესრულებას, რაც ფარაონ ამენჰოტეფ III-ისა და ჰურიტ-ქართთა მეფის ასულის, თათუ-ჰეფას ქორწინებით მტკიცდებოდა.

აქვე მომყავს, მეცნიერთა მიერ დამუშავებული, წერილის ჰურიტული ვარიანტის გარკვეული ნაწილი, რომელიც ლურსმნული დამწერლობიდან ამგვარად იშიფრება:

- III 112 se-ni-iw-wu-u-a u-u-mi-i-ni-i-ta wa-se-e-wa
pa-as-si-na-an se-e-ni-iw-we
- III 113 su-u-u-ta Hur-wu-u-he-ma-a-an u-u-mi-i-ne
kir-ki-i-ni nu-u-u-li.
- III 114 suk-kann-ni-ma-a-n su-e-ne
se-e-ni-iw-wu-u-e-ne-e-wa du-ru-pi-i-i-wa

- III 115 e-ti-i-ta [tu-p]i-in u-ru-le-e-wa-ma-a-ni-i-in
gu-ru su-u-u-wa
- III 116 du-u-ru-[up-du-ru]pi-iw-we
in-ma-n u-ru-u-we-en pa-as-se-ti-i-tan
- III 117 se-e-ni-i[w-wu-t]a gi-pa-a-ne-e-ta-ma-a-an
se-e-ni-iw-wu-us ma-a-as-ri-a-a-an-ne
- III 118 u-u-mi-i-ne ki-ir-ki-i-ne nu-u-le.
- III 119 e-ti-i-t[a] u-pe-e-ti-i-ma-a-n gu-ru
ha-a-ra-a-am-ma-ma-an dur-pi-iw-we
- III 120 si-ne-e-w[a-ni]-i-in ew-re-en-na ta-li-im-te-na
u-u-mi-i-ne
- III 121 ta-li-im-te-na du-ru-pa ti-i-ti a-u-un-ni-ma-a-an.
is-te-e-n ma-a-as-ri-a-an-ne-we o-u-u-mi-i-ne-we
.....
ev[vre-e-n]e se-e-ni-i-ff-e-nna-an
Hur-vo-u-he-ne-ve o-u-mi-i-ne-ve ev[re-en]ne...

მოგახსენებთ, რომ მიუხედავად იმ უმნიშვნელოვანესი წვლილისა, რაც მეცნიერებმა ჰურითთა დამწერლობის ამოკითხვისას გაიღეს და ლურსმნული იერო-

გლიფები ლათინურ ლექსიკაში განმარტეს, წერილის იმ ზემოდხსენებული ნაცადი მეთოდებით გაშიფვრა სუ-ლაც არ შეესაბამება ჰურითული ენის ორიგინალურ შინაარსს. აქვე შევეცდები, ამ წყაროს საიდუმლოს ამოხსნას, რაც ააშკარავებს იმ ფაქტს, რომ ამ უძველესი ერის ენობრივ საუნჯეს საოცარი მსგავსება გააჩნია ქართულ ენასთან.

მამასადამე:

III 112 sen-iwwua umini-ta was-ewa pass-innan seni-we

III 113 suta Harvuhe-man umine kirkine nule...

რაც ამ ორ სგრიქონშია მოცემული:

III 112- „შენივუა უმინითა ვასევა-(უსევა-უსია) პა-შინან-კაშინები- [ანუ კაშიკები, რომლებიც უძველეს ქართულ გომებს წარმოადგენდნენ მუსკების იგივე მუსხების გვერდით.] –შენივე

III 113- შუთა (ან სჰუთა; სხვათა) ჰარვეუჰემან უმინე, კირკინე, ნულე“.

უფრო გარკვევით: ... შენივე უმინებით-მეომრებით, უსია კაშინები შენივა შუთა ჰარვეუჰე-ჰარითმან მეომრები, კირკინე, ნულე...

უმინები ამ შემთხვევაში მეომრები არიან ხოლო კირკინე- გარკვეული მძიმედ შეიარაღებული დანა-ყოფი, რომელიც ძვირად ფასობდა და დიდი მნიშვნელობა

ჰქონდა, ქართთა ლაშქარში საბრძოლო ეტლე-ბის შემდეგ. როგორც მეცნიერები განმარტავენ: მიუხედავად იმისა, რომ ჰურიულ ენაში კირკინა მყარ მეტალს ასახავს, აქ „კირკინე“ შეიარაღებულ მებრძოლთა დანაყოფს წარმოადგენსო. რაც შეეხება „ნულე“-ს, ნაგულისხმევია ქვეითთა ის დანაყოფი, რომელიც მონებისგან, დაქირავებული მებრძოლებისგან და მომთაბარეებისგან შედგებოდა, რაც ყველაზე უმნიშვნელო ძალას წარმოადგენდა.

... III 114 sukkani-man sue-ne sen-iwwue-newa durupi-wa

III 115 eti-tta [tupen ur] ulewa-manin guru suta

III 116 durup-durup-iwe inna-mmaman ur-uwen

pass-et-it-(t)an

III 117 seniwu-ta gipan-et-a-man sen-iwus masriane

III 118 umine kirkine nule...

III 114.. შუკანები- (ანუ დედაქალაქ უშუკან-ვაშუკანის მკვიდრნი)- ძენე-(ძენი), შენივენევა ღურუფის-(ღურუ-მგერი, მომგერე მღური-მომღურე-მომღურის)-მგრის

III 115- ეთიგთა-(ხეთების-ხეთთა)- [ტუფენურ] ულევმანინ-ულევნი, გურუ-(ზნე)- სპუთა-(სხვათა)

III 116- ღურუფ-ღურუფივე-(მგრის-მგერივე) ინამა-მან-ინამამანნი ეგვიპტელთა დანაყოფის, ან რომელიმე

შტოს გარკვეული წოდება უნდა იყოს]- ურუვენ-ურვენ-(ურვას დააწვევენ) კაშეგითან-(კაშეგებით ანუ კაშკასკებით),

III 117- შენივუთა-შენივეთ გიპანეთამან ანუ ჰიპა-ჰეპანეთამან-(ჰეფასიანებით)- [აქ იგულისხმება თათუ ჰეპა, წარგზავნილი მეფის ასული, ეგვიპტის ფარაონის საცოლექ]- შენივუს-(შენივე)- მამრიანე-(მამრ{აკ}იანნი)- ანუ შუბოსანნი -[მამრაკი შუბსა ჰქვიანო, ასე სწერს ძველ ქართულ ლექსიკონში სულხან საბა].

III 118- უმინე-(მეომრები)- კირკინე-(რაზმები)- ნულე-(ქვეითნი)...

III 119 sukkani-man sue-ne durupi-wua etitta

upetii-man guru haram-man durupiwwe

III 120 sinewa-nin ewren-na talimte-na umine

III 121 talimtena durupa tieti a'unni-man.

... 119- შუკანიმან-(შუკანები) ძენე-(ძენნი) ღურუფივა-(მგერივე)- ეთიგთა-(ხეთების)- უპეგიმან-(უპაგიოები) გურუ-(ზნე) ჰარამმან-(არამების) ღურუფივე-(მგერ-ნივევე)

III 120- [(შ)ინეგანნიც] ვერენ-(ივლიან) თალიმთენა-[თალიმთენა აქალურია და დახმარებას ნიშნავს]- (დამხმარენნი)- უმინე-(მეომრებით)

III 121 თალიმთენა-(დამხმარენი) ღურუფა-(მგრის) გიეგი ა'უნნიმან-(ვანის, ამ შემთხვევაში აუს თქმაში).

... ISten mazrianewe ominewe e[wren-ne]e seniffennan

Hurwohenewe, ominewe ew[ren-]n...

...ისტენ-(ისტ) მამრიანევე-(მამრაკიანები ანუ შუბიანები)- ომინევე-(მეომრებითვე)- ევრენ-(ივლიან) შენივენან-(შენივე)- ჰურვოჰენევე-(ჰურვოჰები), ომინევე-(მეომრებითვე)- ევრენ-(ივლიან)...

შესაძლოა ამგვარმა მონაცემებმა დაგაბნოთ კიდეც, რადგან, აქ წერილის გაშიფრული სიგყვათა წყობა, რთულად და ოდნავ უცნაურადაა წარმოდგენილი. ამიტომ უფრო გარკვევით მოვიყვან, ზემოთ არსებულის, სრულ და მკაფიო შინაარს:

„შენივე მეომრებით შეუსია კაშკები, შენივე შუთა (ან სხვა) ჰარითმან, მეომრები, კირკინები, ნულები.

ქალაქ ვაშუკანის ძენი, შენივე უგიფარი მგრის, ხეთების მგერნივე; ულენი და უცხო მნეობის მგრის მგერნივე- „ინამანებიც“; ურვებენ კაშკებით, შენივე ჰეფასიანებით; შენივე მამრიან-შუბიანები, მეომრები, ნულები.

ქალაქ ვაშუკანის ძენი, მგრის (ანუ) ხეთების, უპატიოთა მნე არამების მგერნივე (შინევანებიც), ივლიან დასახმარებლად მეომრებით, დამხმარენი მომღურნე-მგრის ვაის თქმაში.

... ისევე მამრ(აკ)იანებითვე, მეომრებითვე ივლიან შენივე ჰურვოჰები; მეომრებითვე ივლიან....

და ასე გრძელდება მითანის წერილი, რომლის ამოკითხვაც ააშკარავებს ქართველთა ერის, ენით აღუწერელ, გასაოცარ ისტორიას, ჩრდილოეთ-მესოპოტამიიდან, რომელიც ქრისტეს შობამდე მე-14-ე საუკუნეებით დათარიღებულ ეპოქას ასახავს.

ასევეა მოცემული დანარჩენი სტრიქონებიც, მაგალითად:

... IV 17 seniwuta-man awenne-nin tiwe surwe

IV 18 ia-mmaman kat-il-ewa sue-ne et-iwwue

IV 19 min-iwwue-ne et-ie sen-iwwu(s)-lan tiwe...

„შენივეუთამან ავენენინ გივე სურვე, იამამან კათილევა, სჰუნე ეგიუე; მინიუნე ეგიე შენივე(სლან) გივე...“

ანუ „შენივეთ-(შენითვე) ავლენილი გივე-(სიგყვა) სურვე-(სურვილი), იამამანმა-([ამ შემთხვევაში "იამანი", როგორც სულხან საბა ორბელიანი, ამ სიგყვას, ძველი ქართული ლექსიკონით განმარტავს, უძვირფასესი თვალი უნდა იყოს. იგი წერს: „ესე არს იამანი, რომელსაც აქაგად და ანთრაკადაც უხმობენ. ესე თვალი ნაკვერცხლის ფერია, ღამე ცეცხლებრ ელავს, ღია ძვირფასია და ძნელად საშოვარი, აფრიკეთს იპოების.“ როგორც

ჩანს თუშრათა ფარაონს ამ თვალის სახელწოდებით მოიხსენიებს, რათა მიანიშნოს თუ რამდენად ძვირფასია მისთვის იგი.) კათილევა-(კეთილად) სხუათა უთხარ-(ესიგყვე); მინიველებსაც-[მინიუ ქართითა ერთერთი გამორჩეული ქალაქი იყო] ეგივე-(უთხარ-უსიგყვე) მენივე-(შენივეუ{სლან}) (გივე)-სიგყვა...

აქ „გივე და გიუ“ -"სიგყვის", უძველესი აღმნიშვნელი ფორმებია. ვინაიდან ძველ ქართულში: ყ, ხ, ქ და ჰ ზოგჯერ, ურთიერთ შეთავსებულ, საარტიკლო თანხმონად აღინიშნებოდნენ, შესაძლებელია „სიგყვის“ გერმინირება გიუ-დ მაგ: სი-გ(ყ)უა, აქედან სი-(თავსართია), ხოლო გ(ჰ)უა გარკვეული სახე, რაც ასევე თ(ქ)უა-დაც არის თანამედროვე ქართულში შემონახული. ამგვარი სიგყვათა თანწყობა ენათმეცნიერების საკითხია და უმნიშვნელოვანესია, ძველთაძველი ქართული წყაროების გაშიფვრა ამოკითხვისას. თუმცა ჩემი შემდეგი თავი, აღარ ეთმობა ლურსმნული დამწერლობის მაგალითებს და მოყვანილია ის სრული ისტორიული ფაქტები და მოვლენები, ჰურით-ქართების შესახებ, რაც არქეოლოგიური კვლევის შედეგია და მის არსებობას, წინა საუკუნეში ჩაგარებულ გათხრებს უნდა ვუმაღლოდეთ.

წინააზიის უძველესი ისტორიული წყაროები იწყება შუმერთა სახელმწიფოებით, მათი დინასტიით და კონფლიქტებით გიგროსისა და მესოპოტამიის მხარეში, ყოველნაირი ჰურითულ-ქართული კვალის გარეშე. სწორედ ამიგომ არაა ცნობილი კონკრეტული თარიღი ჰურითების ჩრდილოეთ-მესოპოტამიაში დასახლების შესახებ.

ძველი აქადების დროს დაახლოებით 2230-2090წწ. გვევლინება, მდინარე გიგროსის არეში არსებული სამხრეთ-მესოპოტამიის სახელმწიფო მმართველობა და საომარი მოქმედებები მისი დამორჩილების მიზნით. ამ დროს, მცირე წყაროების ცნობით, აქადების პირველი დინასტიის მეფე „სარგონი“ იბრძვის უკვე სუბარტუს სახელმწიფოს წინააღმდეგ. თუმცა აქ ბაბილონის ჩრდილოეთით არსებული გერიგორიები უკვე სუბარტუს შუმერულად "სუბირ"-ის კუთვნილებადაც აღინიშნებოდა. სუბერია განიხილებოდა ჯერ გარკვეული გერიგორიული ნაწილის მფლობელად სამხრეთ გიგროსის სფეროში, სადაც მოგვიანებით ასურეთი და ჩრდილოეთ-მესოპოტამია გადაიშლება. (შემდეგ კი, ახალგაზრდა ბაბილონურ ტექსტებში, ეს მხარე ასირიადაა აღწერილი.)

სარგონის ჟამი იწყება სამხრეთ გიგროსის ქვეყნების დაპყრობით, რომლებიც მისმა მემკვიდრეებმა და შემდგომ უკვე ასურელებმა ქალაქ ნინივემდე (ნინიუმდე) მყარ სახელმწიფოდ აქციეს.

გარკვეული მასალებიდან გამომდინარე ცნობილია, რომ აქადების დროში ჯერ არანაირი მნიშვნელოვანი ჰურიტული კვალი, სამხრეთ გიგროსის სფეროში არ იკვეთებოდა. აღსანიშნავია მხოლოდ ერთ-ერთი უძველესი ბაბილონური ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები, სადაც ასახელებენ მეფეს სიმურუმიდან და სარგონის ბრძოლას მის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ სიმურუმის მხარეში მრავალი ქართული სახელები აღმოჩნდა, იგი მაგროსის მთებთან არსებულ ძველი ლულუბერების და გუთერების იმდროინდელ ერთიან, გომობრივ გერიგორიულ ერთეულებს წარმოადგენდა.

უფრო საყურადღებოა აქადური დროის სხვა ხელნაწერები, რომელიც შუმერთა რელიგიურ ცენტრში, ნიპურშია აღმოჩენილი და ქართულ სახელებს და ელემენტებს შეიცავს. ასევე მნიშვნელოვანია ხეთების ქალაქ ხათუსაში აღმოჩენილი სარიგუალო არქეოლოგიური წყაროები, სადაც საუბარია ჰურიტთა მეფის „ქიქლიფ-ათალის“ შესახებ, რომელსაც უძველესი აქადების ხანაში უნდა ემეფა. ქიქლიფ-ათალის ეპოქა, თვით ხეთების მიერვე, დათარიღებულია როგორც მრავალი ასეული წლის წინანდელი მმართველობის ხანით და შეესაბამება ძველი აქადების პერიოდს (დაახ. 2151-2115წწ.).

იმის მიუხედავად, რომ ჩვენთვის აქადების დროინდელ ჰურიტებზე ბევრი არ არის ცნობილი, მკვლევართა მიერ, დადასტურებულია ის ფაქტიც, რომ ქართები იმ ქამად მესოპოტამიის მახლობლად მცხოვრებ ხალხებს განეკუთვნებოდნენ, რომლებმაც მოგვიანებით,

სამხრეთ გიგროსის სფეროში, ძირბველი კულტურული სახელმწიფო ჩამოაყალიბეს.

მათი პირვანდელი ქალაქსახელმწიფოების ისტორია ბუნდოვნად და ძალბედ მცირედაა ცნობილი. მათი წარმოშობის შესახებ ცნობილი მეცნიერი უნგნადი წერს, რომ მესოპოტამიაში ჰურიტები, უძველეს ეთნიკურ ერად და ნეოლითის დროიდან მოყოლებული პირ-ველი რანგის კულტურულ ფაქტორებად უნდა მივიჩნიოთ. მართალია, ზოგნი მის ამ მოსაზრებას კრიტიკულად ეკიდებიან, მაგრამ იმას, რომ ჰურიტთა კულტურის სათავე ძვ.წ. 3 ათასწლეულით თარიღდება, მეცნიერთა სამოგადოება სრულად ეთანხმება.

აუხსნელი ქრონოლოგიური და გეოგრაფიული პრობლემები აძნელებენ, აქადების პერიოდში, მათზე საერთო წარმოდგენას. მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია, გარკვეული რეკონსტრუქციული მასალების საშუალებით, მათი ძირბველი სახის აღდგენა.

მაგროსის მთებიდან წამოსულმა გუთერების საშიშროებამ და შიდაპოლიტიკურმა განხეთქილებამ გამოიწვია აქადების სახელმწიფოს დაშლა-დაცემა, მისი უკანასკნელი და მნიშვნელოვანი მმართველის „სარკალი-სარი“-ს დროს დაახლოებით 2114-2090 წწ ჩვ.წ.აღმდე. სწორედ მას შემდეგ ხდება აქადების ნანგრევებზე ე.წ. ჰურიტ-ქართების სახელის აღმოცენება.

იმ დროს გიპიური ძველჰურიტული სახელის მქონე მმართველმა „არისენმა“ (მას სხვა მეცნიერნი "ათალსენა"-დაც მოიხსენიებენ) დაგვიტოვა ბრინჯაოს დაფაზე ამოტვიფრული, აქადურ ენაზე შესრულებული ერთგვარი წარწერა. ეს უძველესი დაფა განკუთვნილი იყო,

იმ დროის არსებული ქართველთა ერთერთი სათაყვანო ღვთაების, ნერიგალის გაძრისთვის, რამაც შემდეგ ბაბილონის პანთეონში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. როგორც გაირკვა ამ წყაროში არსენი საკუთარ თავს აცხადება ორი ქალაქის: ურქიშისა და ნავარის ხელმწიფედ. აქ სახელი ნავარი, ბაბილონური და ასირიული წყაროების მიხედვით, "ნამარი"-ს იდენტურია. ხოლო ურქიში თავდაპირველად სამხრეთ გიგროსის მხარეში, შემდეგ კი მდინარე ჰაბურის სამკუთხედოვან შენაკადისკენ მოიაზრებოდა. საბოლოოდ იგი გალამუდას ნანგრევებად, უშუალოდ სირია-თურქეთის საზღვარზე არსებულ გერიგორიად იქმნა იდენტიფიცირებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ურქიში იყო ქალაქი ღმერთი კუმარბისა და ცენტრალური ადგილი ჰურიითა ძველი მითოლოგიისა.

თუ ურქიში მდ.ჰაბურის არეში მდებარეობს, ჰურიითა სამეფო გასაოცარ ფართობად უნდა წარმოვიდგინოთ, აღნიშნავს გერნოთ ვილჰელმი, კერძოდ ჰაბურის სამკუთხედოვანი შენაკადებიდან ჩრდილოეთ-ასირიის მთიანეთამდეო. მისი კიდევ უფრო გაშლა კი სავარაუდოა სამხრეთ ვანის ზღვის გერიგორიებამდეც, სადაც ბევრად გვიანდელ საუკუნეებში ქართველთა ენაზე საუბრობდნენ.

არსენი თავს იხასიათებდა როგორც ძე უცნობ შათარ-მათისა რომლის სახელიც ასევე ქართველია. მისი მმართველობის ზუსტი წლები არ არსებობს, თუმცა ვარაუდობენ დაახლოებით 2090-2048 წლებს, გუგტი-ების (იგივე გუთერების) ეპოქას, ან ცოცხალი უფრო გვიან ე.წ.

შუმერთა „ურ III“-ის დროინდელ ხანას, დაახლოებით 2047-1940 წლებს.

ლოკუმენტები „ურ III“-ის ეპოქიდან გვაცნობებენ, რომ იმ დროს მთიანეთის არე, სამხრეთით და ჩრდილოეთით, ქართთა ენაზე მოლაპარაკე ერების მიერ იყო დასახლებული და ეს უკანასკნელნი „სამხრეთ გიგროსის არედან ჩრდილოეთ დიალექტამდე გადაჭიმულან“.

შემდეგი შუმერული წყაროები, იხსენიებენ მათ მეორე მეფე "შულგის" ურის III დინასტიიდან, რომელმაც საგრძნობლად შეავიწროვა ჰურიითა საზღვრები და თავისი მმართველობის მეორე ნახევარში ცდილობდა, სრულად დაემორჩილებინა, მის ჩრდილოეთით მდებარე სამხრეთ გიგროსის მხარე. საომარი კამპანიები, რომლებიც შულგის დათარიღებებიდანაა ცნობილი, აღწერილია სამი ბრძოლით. პირველი და მეორე ბრძოლა მიმდინარეობდა კარაჰარის (შესაძლოა „კარიჰარი“) და სიმურუმის წინააღმდეგ, გაბალ ჰამრინის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ხოლო მესამე ბრძოლაში შულგი მკვეთრად იწვევს მთლიან სამხრეთ გიგროსის სფეროში, ე.წ. საზრუმამდე, ურბილუმდე (დღევანდელი არბილი) და ლულუბერების მხარემდე (დღეს „სულაიმანია“). შულგის პერიოდსვე ეკუთვნის ზემოთხსენებული, ქარი-თული ქალაქის ურქიშის დაპყრობაც. მისმა მემკვიდრემ კი „ამარ-სუენა“-მ (ამარსინა 1981-1973) მხოლოდ კონგროლი შეინარჩუნა სამხრეთგიგროსის მხარეზე და თავის გავლენის სფეროთი დაკმაყოფილდა.

შულგის მრავალი ბრძოლების მეშვეობით, აღურაცხელი ქართული მოსახლეობის ნაწილი გყვედ ვარდებოდა და შუმერთა მხარეში გადაჰყავდათ, იძულებითი

სამუშაოს შესასრულებლად. სწორედ ესაა მიზეზი, რომ სამხრეთ მესოპოტამიაში, ურIII-ის დროს, უამრავი ქართული სახელებია აღმოჩენილი.

თავის სამშობლოდან შუმერში გადასახლებულებმა სრული ასიმილაცია განიცადეს, რასაც აღმოჩენილი ჰურითული სახელი „უნაფ-სენი“ გვითითებს, რომლის შვილიც წმინდა შუმერულ სახელს აგარებს და სოციალურად თვალსაჩინო ადგილი უკავია შუმერულ მწერალთა რიგებში.

მოგვიანებით ურქიში რჩება ურIII-ის გავლენის სფეროს გარეშე და მხოლოდ სამხრეთ მესოპოტამიასთან არსებულ, დიპლომატიურ კონტაქტში მოიხსენიება.

შემდეგი მეფის „შუ-სუენ“-ის (შუ-სინი 1972-1964) მმართველობის დროს, ურთა ბეგავლენა სუსტდება. ამის ფაქტია ის, რომ შუ-სუენი მხოლოდ თავდაცვით პოზიციაშია ჩრდილო-დასავლეთიდან ამორიგების შემოსევების გამო, რაც შემდეგში ჩრდილოეთით, თითქმის ევფრატისა და ტიგროსამდე (და კიდევ უფრო დიალამ-დეც) დიდი კედლის აგებას განაპირობებს, რათა მომთაბარეთა შემოღწევა მათ კულტურულ მხარეში ალაგ-მულიყო. თუ როგორ შეინარჩუნა მისმა სახელმწიფომ საბოლოო კონგრული, ამის შესახებ უცნობია. სამაგიეროდ ამკარაა სრული განადგურება ურის მეფეთა კარის, მომდევნო მეფის, „იბი-სუენი“-ს დროს.

არსებობს გარკვეული საბაბი იმ მოსაზრებისა, რომ შემდეგში, ქართთა მმართველი (ურქიშის მეფე), არისენის გრადიციებს მიყვება და ქართების სამფლობელოს ურქიშიდან აღმოსავლეთისკენ და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენაც გაავრცელებს.

შემდეგი სახელი ქართთა მეფისა, როგორც „თიშარა“ (თიშ-აგალი) ვლინდება რამოდენიმე ხელნაწერებში.

გარკვეული დათარიღება თიშარას დროისა განაპირობა აღმოჩენამ ესუნადან, სადაც ეს პიროვნება ასირიის ჩრდილოეთ მხარეში მეფობს, რეზიდენცია გააჩნია ქართთა ქალაქ ნინიუში და უდგას ქალღმერთის კულტი "შაგუშკა".

დაფა მოიცავს, ურ III-ის მეფის შუ-სუენის ქამს. როგორც გვამცნობენ, ძვ.წ. 1971 წელს, თიშარა 100 კაციანზე მეტი ექსკორგით, ბიძამისს და შუმერთა ურ III-ის მეფის მთავარსარდალს სწვევია, რომელიც წარმატებით იყო დაბრუნებული, შუმერთა ჯარით, სიმანუმთა ქვეყნის წინააღმდეგ ლაშქრობიდან და ქართების სამფლობელოებს მისდგომია.

თიშარამ, ისევე როგორც არისენმა, ძირბველი და ძვირფასი ხელნაწერი დაგვიტოვა ნერიგალის გაძრისთვის, რის საშუალებითაც უბველესი, ცნობილი ძეგლი ამგვარად მეტყველებს:

„თიშარამ, ენდანმა ურქიშიდან, ააგო გაძარი ნერიგალისა. ამ გაძრის სურვილია დაიცვას ღმერთი ლუბაგადა. ვინც მის (ნერიგალის) განადგურებას მოისურვებს, მოისურვებს ამით ლუბადაგას განადგურებას. ბუნების ღმერთი (?). არ ისურვებს მისი ვედრების შესმენას. უფალი ნაგარისა, მზის ღმერთი და ბუნების ღმერთი მოისურვებენ იმისავე განადგურებას...“

იგი ამ ნაწერებში თავის თავს მოიხსენიებდა ურქიშის „ენდანს“, ამ მინიშნებამ ჯერ დიდი თავსაგები გაუჩინათ მეცნიერებს, რაც საბოლოოდ ძველი ჰური-

თების პროფესიული დამახასიათებელი წოდების ბოლოსართად ახსნეს.

არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია სხვა მომდევნო ქართული მეფეების სახელები, უფრო სწორედ, ის დამაბნეველი მასალები, რაც დღესაც კითხვის ნიშნით აისახება თანამედროვე მეცნიერთა მონაცემებში. აქ საუბარია სამ ერთიდაიგივე სახელის მქონე მეფეზე, რომელთა მმართველობაც სხვადასხვა ეპოქით და რეზიდენციული ერთეულებით გამოირჩევა მაგ: გემოდხსენებულ მეფე თიშათალ-თიშარა ნინივედან, რომელსაც აქადების მეფის ამარსუენას თანამედროვედ განიხილავენ; ასევე თიშათალი ურკეშიდან (შუსუენის თანამედროვე 1972-1964); და თიშათალი კარაჰარიდან (იბისუენის ხანა), რომლის არსებობას ერთ-ერთი სამეფო ბეჭედი (ბეჭდის წარმოშობა სამწუხაროდ, უცნობია) მოგვითხრობს, სათაურით: „ლეგენდა კარაჰარის მეფე თიშათალზე“. მისი სახელი აქ ღვთიურ ასპექტშია გადმოცემული. მსგავსი ლეგენდური თქმულებები, სადაც მეფეთა სახეები გაღმერთებულად გვხვდებიან და ძლიერ მებრძოლებად წარმოგვიდგენენ, იმ დროის სალიტერატურო კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, რაც დადასტურებულია შემდეგი შუმერული ცნობებითაც. ამაზე გემოდხსენებული მეფის იბი-სუენის ხელნაწერები და მისი შვილის, გაბაზუნას სამეფო ბეჭედიც მეტყველებს. ეს ფაქტიც მკაფიოდ უსვამს ხაზს შუმერთა და ქართთა უძველესი კულ-ტურის ურთიერთკავშირზე.

შუმერული ურ III-ის სახელმწიფოს დაშლამ ჩრდილოეთმესოპოტამიაში, კერძოდ ჩრდილოაღმოსავლეთ

ტიგროსის სფეროში, ძლიერი ადგილობრივ-სახელმწიფოებრივი ავტორიტეტები გამოიწვია. მათ შესახებ, წინა პერიოდის ცნობები ბურუსითაა მოცული, თუმცა სავარაუდოა მათი პოლიტიკური ქვეყნის რუკა, რომელიც მთავარქალაქად და მცირე ქალაქებით შემოიფარგლებოდა.

უძველესი ტექსტები, ძვ.წ XVIII საუკუნიდან, მოგვითხრობენ ცნობებს, ძველი ასირიული და ჩრდილოეთ-ასირიული ვაჭრობის ხელშეკრულებების შესახებ, სადაც ქართული სახელებიც ღომინირებენ. აქ მეტალოთ, კერძოდ კალითა და სხვა საფეიქრო ნაწარმით ვაჭრობას ეხება.

ქრ.შბ-მდე მე-18 საუკუნიდანვე მოედინებიან საკმარისი ისტორიული წყაროები, მამში-ადაღის დროს ასირიიდან, ხოლო ხამურაბის პერიოდში ბაბილონიდან. ასევე ცნობები შუაევფრატის სამეფო რეზიდენციიდან კერძოდ, "მარის" არქივიდან ქართული ქალაქსახელმწიფოების შესახებ, რომელთა გერიტორიები იგულისხმებოდა ჩრდილოასირიიდან, ჩრდილოეთ-მესოპოტამიის ჩათვლით, აღმოსავლეთ ტიგროსისა და ზაგროსის მთიანეთამდე. ამ პაგარა ქალაქ-სახელმწიფოების დახასიათება, როგორც ქართულ ენოვანისა, ეყრდნობა ერთის მხრივ, მათ მმართველთა სახელებს და მეორეს მხრივ იმ ფაქტს, რომ სამხრეთ მთიანეთის მხარე მძლავრად იყო ქართულად მოლაპარაკე ხალხებით დასახლებული.

ძველი ბაბილონური ტექსტების მიხედვითაც, დასავლეთისკენ მდებარე ძველი ქალაქის ალაღახის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქართული სახელებით

გამორჩელოდნენ. თუმცა ქალაქ ალაღახის შემთხვევაში იმასაც გვაგვობინებენ, რომ იქ, სადაც ასიდან 50 ქართულ სახელს წარმოადგენსო, გამოწვეული უნდა იყოს უცხო გომების შეჭრით და ბოლომდე არ უნდა მივიჩნიოთ ეს გერიგორიული ერთეული მათ კუთვნილებად.

გიგროსის შენაკად მდინარე ქვემო ბაბზე მდებარე მუშარას მხარეში, რაც ურ III-ის მიერ ხშირად ნახსენებ შაშრუმის იდენტური უნდა იყოს, მოიპოვებიან წყაროები, როგორც ვინმე ადგილობრივ ქართულ მმართველ "კუვარი"-ზე, ისე სხვა უამრავ პიროვნულ სახელებზე, რაც გარკვეულწილად მათ დასახლებებზე მეტყველებს.

უფრო სამხრეთით კი გვხვდება გაბურის ადგილას წარმოშობილი უძველესი ქალაქი ნუმი, რომელიც ქრ. შბ-მდე 14-15 საუკუნეების ქრონიკით, ქართული მოსახლეობისაგან შედგებოდა. თუ რა ვითარებაში წარმოიშვა ეს ქალაქი, უცნობია, თუმცა მეცნიერები მისი წარმოქმნის თარიღად XVIII საუკუნის პირველ ნახევარს ასახელებენ და სავარაუდოდ უსადაგებენ, იშგარის კულგისა და სახელის მქონე ქალაქის გარდაქმნას, ქარი-თულ საკულგო ქალაქად.

იშგარის გაძრის გვერდით, რომელიც ჰურით-ქართულად შავუშკად იდენტიფიცირდება, გაღმერთებული და სათაყვანებელია მათი ბუნებისა და ამინდის ღმერთი "თესუპი", რომლის სახელსაც გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეს, უძველესი ქართული ლეგენდა-რული გმირის, "უსუპის" სახელთან.

თესუპის კულგმა დიდი აღიარება ჰპოვა, ქართუების გავრცელების შემდეგ. თვალსაჩინოა ისიც, რომ ეს

ღმერთი მათი გაძრის სათავეში იდგა და მომდევნო საუკუნეებში, მისი სახელი, როგორც გექსტებიდან იკვეთება, ვრცლად გამოიყენებოდა მებრძოლთა და მეფეთა პიროვნულ სახელწოდებებშიც.

ვინაიდან ზემოთ, ქართთა ქალაქსახელმწიფოების თაობაზე ასირიელი მმართველის, შამში-ადადის, ცნობები მოვიშველიე, მოკლედ მოგახსენებთ, მისი მეფობის შესახებაც, რომელსაც უშუალო კავშირი უნდა ჰქონო-და მათ სახელმწიფოსთანაც.

შამში-ადადი ძალებს იკრებს (ქართულთა მეზობლის სახით) და ძვ.წ. XVIII საუკუნეში საკმაოდ ვრცელ გერიგორიებზე ახერხებს კონგროლის დამყარებას, რომელსაც ეფფრაგის დასავლეთიდან, მაგროსის მთიანეთის აღმოსავლეთისკენ აღწერენ. თუმცა ასირიის ამ მმართველობის პერიოდშიც გარკვეული სირთულეებია გამოკვეთილი. აქედან ერთ-ერთი უმთავრესი, ზემო ჰაბურის მხარე და მასთან არსებული მდინარეთია დედაქალაქ სუბათენლილით, სადაც შამში-ადადი დიდ შეფერხებებს განიცდის. თუმცა როგორც ჩანს იგი ახერხებს ქართთა გარკვეული ნაწილის დამორჩილებას და მის სამფლობელოებში შემოერთებას. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ იმ დროს ჰურით-ქართული ქალაქ-სახელმწიფოების, კერძოდ „ჰაბურათუმის“ და „აბუხინუმის“ მმართველები არ აგარებენ ჰურითულ სახელებს და უცხო შგოს სახელის მქონე: „ნანიპ-შავირად“ და „შადუ-სარად“ გვევლინებიან.

რთული ლოიალური სისგემითა და მილიგარის-გული დემონსტრაციით ასურელები ახერხებენ მომთა-ბარეების

შემოგვევების აღკვეთას და კონტროლის შენარჩუნებას მდინარისპირეთის მოსახლეობაზე.

შამში-ადაღის სახელმწიფო, რომელიც ასე თუ ისე საბრძოლო და დიპლომატიურ უნარზე იყო დამოკიდებული, მისი გარდაცვალების შემდეგვე იშლება და სანამ მისი მემკვიდრე იშმე-დაგანი თავის მმართველობას ასურეთში შეინარჩუნებდა, მის ხელთ არსებული ჩრდილომესოპოტამიის სახელმწიფოები მცირე ქალაქ-სამთავროებად გამოიყოფიან.

მანამდე კი, ამ მხარეშივე, უფრო ზუსტად სირიის ჩრდილოეთით, ალეპინელ მმართველთა დინასტიას, თავის მეგროპოლ ჰალაბით (დღეს ალეპო) და ე.წ. ჩრდილოეთ-სირიული გაერთიანებით, შეკავებული აქვთ შამში-ადაღის შემოგვეები, ხოლო ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ, ეს სამთავრო უფრო მეტს ახერხებს და სხვა მხარეებსაც იერთიანებს. აქედან ერთ-ერთი გამორჩეული ფაქტია, ერთ ღროს ჰურიტ-ქართთა ხელში მყოფი, მარის სამთავროს შემოერთება, მას შემდეგ რაც მისი გვირგვინის მემკვიდრე, "ზიმრი-ლიმი" თავშესაფარს ჰალაბში ჰპოვებს და საქორწინო ხელშეკრულების შედეგად საფუძველს უყრის იძულებით კოალიციურ გაერთიანებას, რომლის უკანაც სწორედ, შამში-ადაღის მოქიშპე, ჰალაბის ანუ ჩრდილოეთ-სირიის ალეპინელთა დინასტია დგას. ეს გაერთიანება ხორციელდება მას შემდეგ, რაც ზიმრი-ლიმი თავის გავლენიანი ჰალაბელი სიმამრის დახმარებით, საკუთარ სამთავროში, ბრძოლით იღებს მმართველობის სადავეებს.

როგორც შემდეგი წყაროებიდან ირკვევა, იმდროინდელი ჩრდილოეთ-სირიის სახელმწიფო გაერთიანე-

ბას, ერთ-ერთი ძლიერი მმართველობის ხანა უნდა ჰქონოდა.

როგორი იყო, მარის ეპოქის ღროს, დასავლეთ-ეფრატის გერიგორიაზე, ჰურიტ-ქართთა მოსახლეობის იმდროინდელი პოლიტიკური ყოფა თუ შეხედულებები, თითქმის უცნობია. ამკარა კია, რომ შამში-ადაღის შემდეგ, ქართულ გავლენის ქვეშ მყოფ გერიგორიებს (მარის სახით) გემოთხსენებული ჰალაბელთა გაერთიანება იკავებს. აქ გასათვალისწინებელია მცირეოდენი არქეოლოგიური ძეგლებიც, რომელშიც წმინდა ქართული სახელის მქონე მეფე "თიშულმეა" ნახსენები, რომლის სამეფო რეზიდენციაც ქალაქ მარდამანშია. (იმ ეპოქის სხვადასხვა ამორიგულ ქალაქებში, ჰალაბში და ალალახში, აღმოჩენილია გარკვეული ქართული რელიგიურ-კულტურული ელემენტებიც.)

ჰურიტ-ქართების კვლავ ასპარეზზე გამოსვლა და განვითარება, შამში ადაღის სახელმწიფო წყობილების მოშლის შემდეგ, ემსგავსება იმ სიტუაციას, როგორც აქადური და შუმერულ ურ-III-ის სახელმწიფოების დაცემის შემთხვევაში მოხდა. ასე, რომ აქ საუბარია ჰურიტთა ენისა და კულტურის მესამეჯერ გაძლიერება-აღდგენაზე.

პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით კი მეცნიერები მოვლენების შესაძლო განვითარებას ამგვარად აღწერენ: შამში-ადაღის დიდი პოლიტიკური სტრუქტურის დაცემა განადგურებამ, გამოიწვია შორი ვაჭრობის შევიწროება მოსპობა, ურბანიზაციის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის დაქვეითება, აგრარული პროდუქციის დეგრადაცია და ამის სანაცვლოდ უმცირესი საო-

ჯახო მესაქონლეობის ამარა მოსახლეობის გაღატაკება, ანუ ის კატაკლიზმები რასაც, როგორც წესი, განვითარებადი ან განვითარებული სახელმწიფო დაცემის შემდეგ განიცდის ხოლმე. ამ მდგომარეობას სათავესოდ იყენებენ ქართველები და იწყებენ მასიურ ექსპანსიას სამხრეთით მდებარე გერიგორიებზე. მათგან გერიგორიების ათვისების პროცესი მიმდინარეობდა ხან ომით ხან მშვიდობიანი შეთანხმებებით. მათი ახლად შექმნილი პოლიტიკური სტრუქტურა კი მკაცრ მილიტარის-ტულ ხასიათს ატარებდა.

ძვ.წ. დაახლოებით XV-XIV საუკუნეში, ქართველები ერთ-ერთ წამყვან და უძლიერეს სახელმწიფოს მფლობელად გვევლინებიან. ამ დროს ისინი აყალიბებენ "მითანის" სამეფოს და საკმაოდ გავლენიან ძალად მიიჩნევიან, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა პოლიტიკური სტრუქტურით.

როგორც უძველესი ეგვიპტური ჩანაწერებიდან ირკვევა, ისინი "მითანს", როგორც "მაითან"- "მითანად", ისე "ნაჰარინა"- "ნაჰრინად" ასახელებდნენ, რაც მათ ენაზე ორმდინარეთს ნიშნავდა.

ასურულ წყაროებში მითანი გვევლინება „ჰანიგალბათ“- „ჰალიგალბათ“-ად და მისი უძველესი ფორმით, „ჰაბინგალბათ“-ადაც. მათი გერიგორია აღინიშნებოდა გიგროსისა და ეფფრატის შორის არსებულ მხარედ, რომლის ცენტრსაც, მდინარე „ჰაბურის“, სამკუთხედად დატოვებული შენაკადი წარმოადგენდა. ამ ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრებად კი ქართველების მიერ დასახლებულ გერიგორიებს მოიაზრებდნენ.

ხეთების ტექსტებში მითანის, ჰანიგალბათისა და ნაჰრინას გეოგრაფიულ სახელწოდებად, უბრალოდ „ჰურითები“ ან "ჰური"-ს ქვეყანაა მოყვანილი, ხოლო ბაბილონელები მათ მხარეს "სუბარტუს" სამეფოს უწოდებდნენ.

განსხვავებულია ამ ქვეყნის დასახელება, თვით ჰურითთა მხრიდანაც. მიუხედავად იმისა, რომ მათი მეფეები მითანის ჰურითთა მმართველებად მოიხსენიებენ თავს, საკუთარი ლურსმნული დამწერლობებიდან ირკვევა, რომ ისინი "ჰარეუხად" და "ჰუეორნებად"-აც არიან წოდებულნი, რაც მათი უძველესი სახელობითი ფორმა უნდა ყოფილიყო.

საიდუმლოებითაა მოცული მითანის კულტურული თუ მითიური კავშირი ძველ ინდოარიულ, ვედურ ღვთაებებთან, რომლებიც ქრ.მ-მდე XIVს-ში, ქართველი მეფეების მიერ აღიარებულნი არიან როგორც: მითრა, ვარუნა, ინდრა და ნასატია.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები ზემოთხსენებულ ღვთაებებს ინდო-ვედურად ასახელებენ, მაინც გასათვალისწინებელია მათში არსებული ჰურით-ქართული მემკვიდრეობაც.

გერნოთ ვილჰელმის აზრით, ინდოარიული შგო, ჰარიან-ქართულებთან ერთად, გრანსკავკასიის ზოლიდან, აღმოსავლეთ და დასავლეთ ქვეყნების მხარეებში უნდა გადასულიყვნენ, სადაც შესაძლოა ერთიანი კულტურა დაეთესათ. თუმცა ჰურითთა ენობრივი სტრუქტურა, ნაკლებად შეესაბამება ინდოარიულს და ურარტულთან მონათესავე ენას აკუთვნებენ. აქედან გამომდინარე, ერთგვარი კულტურის გარდა, რაც ჰარიან-ქართულებს და

ურარგულებს ახასიათებთ, ცნობილია მათი ენის ერთ ასპექტად წარმოშობის ცნებაც. ძველი წელთაღრიცხვით II ათასწლეულის პირველ ასწლეულებში კი მათი საერთო ენა გამოყოფილად გვევლინება და ცალ-ცალკე ენებად განიხილავენ მანამ, სანამ ურარგუს ტერიტორიებზე უცხო განშტოების ხალხები არ იჭრებიან, რომლებიც განსხვავებული ენობრივი სტრუქტურით გამოირჩევიან.

რაც შეეხება ქართებს, მკვლევართა აზრით, მითანის გაერთიანებული სამეფოს ჩამოყალიბებიდან, მათმა ენამ გარკვეული ენობრივი ელემენტები შეითვისა, (აქ უშუალოდ კავშირების ენა უნდა იგულისხმებოდეს) თუმცა როგორც მითანის წერილის არქეოლოგიური წყაროდან ირკვევა, ეს ენა მხოლოდ ძველი ენობრივი ხასიათით განსხვავდება თანამედროვე ქართულისგან.

ის სავარაუდო მოდელი კი, ინდოარიელი ხალხის ჰურითების კავშირთან მიმართებაში, გარკვეულ მეცნიერთა ჯგუფის საერთო აზრის მიხედვით, ამგვარად გამოიყურება: "მათ როგორც დასავლეთით, ასევე აღმოსავლეთით, ირანის გავლით, მიაღწიეს ინდოეთის ტერიტორიებამდე; დაიშალნენ მცირე სამთავროებად და შემდეგ, ჰურითებთან ერთად, მთლიანად ან ნაწილობრივ, გადაინაცვლეს მესოპოტამიის სამხრეთ-ნახევარმთვარის ტერიტორიებისკენ. ამასთანავე მათ სწრაფი ასიმილაცია განიცადეს ქართულ, ძველი მესოპოტამიისა და ძველი ასირიის ხალხებში, სადაც თავიანთი ენა დაკარგეს."

თუ რა როლი ჰქონდა ინდოარიულ-ვედურ განშტოებებს მითანის სახელმწიფოსთან, ამას არსებული მასალები გვაწვდიან, რომლებიც ქართ მეფეთა სახელწო-

დებებითაც შემოიფარგლებიან. მაგ: თუშრათა -(თუშერათა), ვედურად (თუესა რათა) ან "ართათამა," ვედურად „რთჰა ღჰამან“, სადაც, "რთა" უძველეს ვედურად სამართლიანობის უზენაესი ღმერთის აღმნიშვნელი სახელია. (სხვათაშორის "რთა"-ს სახელი ქართული სიგყვის, "მართალის" ფუძემიცაა შემორჩენილი. თუ სიგყვა "მართალს" წინსართ-ბოლოსართების [მა] და [ლი]-ს გარეშე დავგოვებთ, მიღებული ფუძე, ზემოთ-ნახსენები ვედური ღვთაების "რთა"-ს სახელს ასახავს: [მა]"რთა"[ლი], სადაც [მა] გარკვეული მახასიათებელი როლის ამსახველი წინსართია და როგორც რამის მიმდევარი, სხვა ქართულ სიგყვებსაც ახასიათებს, მაგ: [მა]სწავლებელი, [მა]ძებარი, [მა]შველი, [მა]ხარობელი და სხვ.)

აღსანიშნავია ჰურით-ქართთა საბრძოლო იარაღი "საგივარა", რომელიც ინდოარიული და ვედური "საგევაია"-საგივარა"-ს ანალოგიაა და თანამედროვე ქართულში საგევარადაა შემორჩენილი.

არ შემიძლია პარალელი არ გავავლო ამ საბრძოლო იარაღსა და ამირანის მოკლე ხმალს შორის, რადგან უძველესი ქართული ლეგენდარული გმირები, საოცარ იღუმალ კავშირში არიან, როგორც უძველესი ვედური ღვთაებების ისე ჰურით-ქართთა ღმერთების სახელებთან და წარმომავლობასთან. აქ სავარაუდოა, ამირანის მისადაგება ვედურ "ვარუნა"-ს ღვთაებასთან, რომელიც უფრო ძველი მნიშვნელობით "მარუნადაც" მოიხსენიებოდა და მისი (სავარაუდოდ კინობითი) ბოლოსართის "უნა"-ს მოცილებით ვიღებთ ფუძე "მარს" რაც, ინდო-ვედურად, ახალგაზრდა ვაჟს აღნიშნავს.

პარადოქსია, მაგრამ ფუძე "მარი" გვხვდება ქართულ გერმინოლოგიაში, რაც მამაკაცის განსაკუთრებულ როლს ასახავს, როგორც: (ქ)მარი და (გ)მირი, სადაც (ქ) და (გ) იმ უძველეს კავკასიურ არგიკლების ნაშთებად გვევლინებიან, რომლებიც ღრთა განმავლობაში, თანხმონების სახით, შეერწყნენ ძველქართულ სიგყვებს, მაგ: (ყ)ნოსუა, (ყ)ველა, ან უფრო ძველად (ყ)ოლა, (ყ)ური, (ღ)ვინო, (მ)შუენი, (ჭ)ამა და ა.შ. ამ მონაცემის შესაბამისათ, თუ ამირანის სახელში არსებულ (ა) არგიკლს გამოვეყოფთ, მიღებული ასპექტი, უფრო მკაფიო მსგავსებას გამოავლენს (ა)მირან-სა და ველურ მარუნა-ს შორის. თუმცა აქ იმასაც ვიგყვი, რომ ამგვარი მოსაზრება, არ გამორიცხავს გარკვეულ მცდარობასაც და მიუხედავად უამრავი მსგავსებისა, ისიც სავარაუდოა, რომ "ამირანი" მაინც არ წამოღებოდეს ველური "ვარუნა"-მარუნას" ფუძიდან.

სამაგიეროდ ლეგენდის დანარჩენი ორი გმირის, უსუპისა და ბადრის არსში, მკაფიოდ იკითხება ერთის მხრივ ჰური-ქართთა ბუნებისა და ამინდის ღმერთის თესუპის სახელი, ხოლო მეორესმხრივ (უსუპის ძმის) ბადრის სახე.

როგორც გემოთ მოგახსენეთ, ჰურითები XVIII საუკუნეში იღებენ ქალაქ ნუმის და იქ არსებულ აქადური "იმგარის" ტაძარს, თავიანთი შავი ღვთაების, "შავუშკას" ტაძრად აკეთებენ. ლურსმნული ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ იმ დროს ქართებს ორი გამორჩეული ტაძარი ჰქონიათ, თესუპისა და იმგარ-შავუშკას სახით. იმგარი, რომლის სახეც ძველი შუმერებიდან იღებს სათავეს და მათ ენაზე "ინანა"-დ მოიხსენიება, აქადური

ვარიანტიდან ჰურითულში შავუშკად, ხოლო ბაბილონურ-ასურულში აბადულ-ლაბაგულ გვევლინება. სწორედ ეს აბადულია ჩვენს ლეგენდაში მებრძოლი ვაჟის, ბადურის სახელი, რისი უუწინარესი სახე შუმერული ქალღმერთის ღვთაება ინანაა და ამინდის ღმერთის დად მოიხსენიება, როგორც შუმერულ-აქადურ, ისე შავუშკად ქცეულ ქართულ ღვთაებებში. ალბად ამას უნდა უკავშირდებოდეს ბადრის უსუპ-თესუპთან ძმობის ფაქტიც და მისი დახასიათებაც "შავ ბადრად", რაც შავი ღვთაების ანუ "ჰურითული შავუშკას" სახეა. (აქ საყურადღებოა კიდევ ერთი ნიშანი, ბადრის დახასიათების შესახებ, ცნობილი გამონათქვამიდან: „ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა საქმაროდ გამზადებულსა“... სადაც ძლიერი მებრძოლი ვაჟის შეუფერებელ ხასიათზეა საუბარი. ალბათ ეს პარადოქსიც მისი უძველესი ისტორიული სახის, ქალღმერთ იმგარ-შავუშკას, არსით უნდა აიხსნას.)

ბევრი საინტერესო რამ იკითხება ქართების უძველესი მითოლოგიური არსიდან, რაც უამრავ ფაქტსაც ხდის ფარდას, მაგრამ მათი ღვთაებების დახასიათებაზე, ამ წიგნის ბოლოს, დანართში შემოვიფარგლები.

რაც შეეხება მითანის სახელმწიფოს, იგი აგებულია მილიტარისტული ძალაუფლების გამკაცების პრინციპით და მისი შექმნის დროიდან საფუძველი ეყრება საბრძოლო ორთველიანი ეგლების მასიურ გამოყენებას, რისი წარმოშობაც ქართებიდან იღებს სათავეს. ამის შემდეგ, საბრძოლო ეგლები ფართო გამოყენებას ჰპოვებენ, როგორც ეგვიპტეში, ისე იმ დროის ყველა წამყვან ქვეყანაში. აღსანიშნავია ისიც რომ, მათი საომარ

პირობებში მომზადება და მოყვანა დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული და წარჩინებულ ელიტურ იარაღად მიიჩნეოდა. მითანში სირიაში და სამხრეთ ქვეყნებში ამ იარაღის წამმართველს „მარიანინად“ მოიხსენიებდნენ. ამ სიგყვის მნიშვნელობასაც ძველ ინდურ-ვედურს აკუთვნებენ ე.წ. "მარი"-ს ფუძის, როგორც მეომარი ვაჟის მახასიათებელი პრინციპით.

მიუხედავად იმისა, რომ მითანის სახელმწიფოს წარმოქმნისა და განვითარების ისტორია ბურუსითაა მოცული და არც საკმარისი არქეოლოგიური ცნობები მოგვეპოვება, მაინც შესაძლებელია, მეზობელი ერების ჩანაწერების საფუძველზე ვივარაუდოთ, რომ უძველეს დროში, ხეთებზე წარმატებით განხორციელებული ომის შემდეგ, ქართველმა მოახერხეს სამხრეთ გომების შემოერთება და ერთიანი მითანის სამეფოს ჩამოყალიბება. ამის შემდგომ პერიოდში კი, ხეთების სახელმწიფო, წამგებიანი და გამანადგურებელი ომის შედეგად საგრძნობლად სუსტდება.

ხეთებსა და ჰურიტებს შორის გამუდმებულ ომებს აღწერს გარკვეული მასალებიც, კერძოდ ხეთების მეფის "ხათუსილის" (ჰათუსილი) წერილები, რომელიც ძვ.წ. XVI-XV საუკუნეების ეპოქას ასახავს. აქ ნათქვამია, რომ ჰეთიგების მეფემ გააერთიანა კაბალოკიის სამთავროები და გამოიჭრა სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის გერიგორიებისკენ, სადაც აიღო სირია და გაანადგურა ქალაქი ზარუნა. ამის შემდეგ ხათუსილი გადააწყდება, ადალურის მთიანეთში, ქალაქ ჰასუდან მომავალ ჯარს. ეს მხარე კი უკვე ქართველის შემადგენლობაში ითვლებოდა. მთასთან ჯარის დამარცხების შემ-

დეგ ხათუსილი გადადის მდინარე "ჰურაუნაზე" (ვარაუდობენ მდ.ორონგესი ან აფრინი) და იღებს ქალაქ ჰასუს. იგი ამის შემდეგ იღებს ბუნების ღმერთების კერპებს და სხვა ღმერთებსაც ქალაქ: არმარუკიდან, ჰალაბიდან, ალათუმიდან, ადალურიდან, ლილურიდან, ჰეფათიდან და ერთიანად გზავნის თავის ქვეყანაში, ხეთების მთავარი ღმერთის გაძარში.

ქართველის მძლავრი საომარი კამპანიის შემდეგ ხათუსილი ველარ ინარჩუნებს აღებულ ქალაქებს. მისი უკანასკნელი ნაბიჯი ზემო ევფრატზე მდებარე ქალაქ ხახუმის აღება იყო. ხეთების ძველი ისტორიიდან ჩანს, რომ ხათუსილი ბოლოს კვლავ ჰალაბის ასაღებად ილაშქრებს და სავარაუდოდ იქ იღუპება. იგი თავის გახგს უგოვებს მურსილ I-ს, მის შთამომავალს და ავალებულებს სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას ქართითა წინააღმდეგ. მურსილი კვლავ იპყრობს გერიგორიებს და ანადგურებს ქართველის მოკავშირე სამთავროებს. ხეთურ წყაროებში მოცემულია, რომ მურსილი ანადგურებს ქართითა ქალაქ-სახელმწიფოებს მაგრამ მოგვიანებით, მოვლენები სულ სხვაგვარად ვითარდება. თუმცა მურსილ I მაინც დიდ წარმატებას აღწევს, კერძოდ, იგი ლახავს ევფრატს, ამარცხებს ასურეთს და ათას კილომეტრიანი სვლით ძვ.წ 1531 წელს აღწევს ბაბილონამდე. შესაძლოა სწორედ ეს იყო ჰურიტების გააქტიურების მიზეზი, რადგან მათ სამხრეთ ბაბილონის საკავშირო გზის დაკარგვის შიშით, შემოიერთეს სამხრეთ გერიგორიები და საბრძოლო პოლიტიკას მიყვნენ.

მომდევნო ათწლეულში ამას მოსდევს, ხეთების სამეფო გახვის მემკვიდრეებს შორის, სისხლიანი დავა და მათი სახელმწიფოს ცალკეულ სამთავროებად დაშლა. მოგვიანებით კი, ქრ.შ-მდე XV საუკუნეში, უკვე ხეთთა სამხრეთ ქალაქ სამთავროებში ქართული ენა და რელიგია ვრცელდება. ამის შესახებ მხოლოდ ჰეთიგურ, შედარებით ახალ ჩანაწერებშია ნახსენები და უფრო მუსტი ცნობები, სამწუხაროდ, არ მოიპოვება.

აქედანვე ედგმება საბირკველი, უძლიერეს სახელმწიფო "მითანს" და ძვ.წ XV საუკუნეში, მისი აღმეგების ხანის არსებობას, როდესაც, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ჰურით-ქართინი თავიანთ ძალაუფლებას იმგვიცებენ და გავლენიან ძალას წარმოადგენენ.

მის გამორჩეულ მართველად კი მეცნიერნი "შაუშ-შათარს" (შესაძლოა ასევე "შაუშსადარი") მიიჩნევენ, რომლის წინარე სახელი "შაუშ", ქართიების შავი ღვთაების, "შაუშკას" სახელიდან წარმოსდგება.

ჩვენამდე მოღწეულია ერთადერთი, წერილი შაუშ-შათარისა, რომლის წარმოშობაც, არაფჰას ქალაქ ნუზიდად მომდინარეობს. ამ ცნობის მიხედვით, იგი აგარებს სამეფო ბეჭედს, რომელზედაც შაუშშათარი, "ფარსადათარის" შვილად და მემკვიდრედ აცხადებს თავს.

მსგავსი სხვა დინასტიური, მითანური სამეფო ბეჭედი, ასახავს ლეგენდას სახელწოდებით: "შუთარნა ქირთას ძე, მეფე მითანიდან." მკვლევარები აქ ქირთას სახელს, უძველესი უგართის ეპოსში არსებულ "ქრთა"-ს უკავშირებენ და ამ ორი მმართველის მეფობას, სავარაუდოდ ფარათარნასა და ფარსადათარს შორის

არსებულ პერიოდად ასახავენ. მათი მართველობის ხანა არც თუ ისე დიდი უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად ამ მწირი და ქრონოლოგიურად ურთულესი შინაარსის მქონე მასალებისა, მეცნიერთა ძალისხმევით, მაიცი შესაძლებელი გახდა ჰურით-ქართითა გარკვეული, უძველესი ისტორიული სახის აღდგენა.

ღურსმნული წყაროების მონაცემების საფუძველზე კი, იმ დროის არსებული მსოფლიო პოლიტიკა ამგვარად გამოიყურება: სამხრეთით, ეგვიპტის სახელმწიფო თავიდან იცილებს „ჰიქსოსის“ დამპყრობლულ მმართველობას და აერთიანებს მისი ყოველი ქვეყნის ნაწილებს. ხეთების სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ეგვიპტის ფარაონი თუგმოს I, დაახლოებით 1497-1482 წლებში, იპყრობს ჩრდილოეთ-სირიას და მათ შორის პალესტინასაც. ამის შემდეგ იგი უპირისპირდება სახელმწიფოს, რომელიც თვით ეგვიპტელების მიერ ნახსენებია ჯერ როგორც „ნაჰრინა“, ხოლო შემდეგ „მითანი“; მოგვიანებით კი „მითანი“.

ძველი წელთაღრიცხვით, დაახლოებით 1470 წელს, გაძლიერებული მითანის სახელმწიფო თავის გავლენის ქვეშ აქცევს ხეთების ხელში არსებულ დასავლეთ მესოპოტამიის მხარეს და ჰალაბის ქალაქ-სახელმწიფოს.

ქართიების მეფე ფარათარნა იმორჩილებს „მუკის“-ის (იგივე ალაღახის) მეფე იდრიმს და სამშვიდობო ხელშეკრულების შემდგომ ამ უკანასკნელს ანიჭებს ქართითა სახელმწიფოს აღმაგებულესობის წოდებას, თან უერთებს მას სხვა ახლომდებარე ქალაქ-სამთავროებს და მათ გერიგორიებსაც თავის შემადგენლობაში იერთიანებს. როგორც წყაროებიდან ჩანს, ფარათარნა

თავის საზღვრებს ხმელთაშუა ზღვამდე ჭიმავს. მიუხედავად ამ წარმატებისა, ქართებს მაინც უწევდათ გარკვეულ დათმობებზე წასულიყვნენ, სხვა ქვეყნების ძალის წინაშე, რაც ქართთა და მათ მოკავშირეთა სავაჭრო მდგომარეობით გამოიხატებოდა. როგორც წყაროებიდან ირკვევა, მათი სავაჭრო სფერო თანდათანობით განიცდიდა სახეცვლილებას, ეგვიპტისა და სირიის სახელმწიფოებისგან შევიწროების გამო.

თვით ეგვიპტის ფარაონი, თუგმოს III 1458 წელს, სერიოზულ საბრძოლო კამპანიას აწარმოებდა, ქართთა გავლენის ქვეშ მყოფი, სირიის კოალიციის წინააღმდეგ, რომელსაც ქადეშის მეფე ედგა სათავეში. გაურკვეველია ამ დროს პოლიტიკურ-ეთნიკური ურთიერთობა სირიის შუა და სამხრეთ ქალაქ-სახელმწიფოებს შორის, თუმცა მწირი წყაროების მიხედვით, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სირიის ეს მონაკვეთი ქარი-თულენაზე მოლაპარაკე მოსახლეობით იყო დასახლებული. აქედან გამომდინარე, შემოდხსენებულ კოალიციას, მითანის სახელმწიფოს მხრიდან, გარკვეული მხარდაჭერა უნდა ჰქონოდა.

მას შემდეგ რაც თუგმოს III-მ ქალაქი ქადეში წარმატებით დაიპყრო, თავისი ამაღა დასავლეთ ევფრატის მხარეს არსებულ მითანის სახელმწიფო ტერიტორიებისკენ წარმართა. 1447 წელს მან მიაღწია ქარქემიშის მხარემდე და გადალახა მდინარე ევფრატი ისე, რომ განსაკუთრებული წინააღმდეგობა მითანის სახელმწიფოს მხრიდან არც კი განუცდია. ამ დროს კი, ქართთა მეზობელი სახელმწიფოს, ხეთების მეფე თუთხალია I, აღურაცხელ სიმდიდრეს უგზავნის ეგვიპტის ფარაონს და

სთავაზობს ხელშეკრულებას სახელმწიფო საზღვრების გარკვევის შესახებ. ხელშეკრულება ამ ორ სამეფოს შორის მართლაც ხორციელდება, სადაც ეგვიპტეს საკმაო უპირატესობები გააჩნია საზღვრების გადანაწილების საკითხში.

მიუხედავად სამხედრო წარმატებებისა, თუგმოსმა მაინც ვერ მოახერხა, სამხრეთ სირიის გარდა, მითანის ტერიტორიების შემოერთება. მისი ბოლო საბრძოლო კამპანია მიმართული იყო აჯანყებული ქალაქების: ტუნიპისა და ქადეშის წინააღმდეგ, რომელთაც მითანი უმაგრებდა ზურგს.

სამწუხაროდ, არქეოლოგიური წყაროების სიმწირის გამო, დღემდე უცნობია თუ ვინ იყო ამ მოვლენების დროს ქართთა კარის მმართველი. დიდად სავარაუდოა შაუშმათარი, რომელმაც თუგმოსის ლაშქრობების შემდეგ მოახერხა მითანის შერყეული სამეფო განემტკიცებინა, კვლავ დაეპყრო აშური, რომელიც ეგვიპტელების ხელში იყო და გაეკონტროლებინა ხმელთაშუა ზღვის მხარე, ისევე როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქები, ჩრდილოეთ ლევანტე და უგარითი. საბოლოოდ კი მან აღმოსავლეთით, არაფხას მეფე თავის ვასალად აქცია. ასე რომ მისი სამფლობელოები გადაჭიმული იყო მაგროსის მთიანეთიდან ხმელთაშუაზღვამდე და მოიცავდა ერთიან, დიდ ქართულენოვან კულტურულ სახელმწიფოს.

შაუშმათარის (შაუშსადარის) ე.წ. რეზიდენცია იყო ვაშუკანში, ჰურიითა დედაქალაქში, რომლის დანამდვილებითი მდებარეობაც დღეს-დღეისობით აღმოუჩენელია. თუმცა ზოგ ძველ მეცნიერთა აზრით, ვაშუკანი

წარმოსდგება შუაასირიულ პერიოდთან და დაკავშირებულია ქალაქების: უშუკანისა და შიკანის წარმომობის ცნებებთან. მაგრამ ამ ამრს ბევრი სხვა მეცნიერ-ისტორიკოსიც კატეგორიულად უარყოფს. ყოველშემთხვევაში ქალაქ ვაშუკანის სავარაუდო გერიტორია მოიაზრება მესოპოტამიის ჩრდილოეთში, დღევანდელი აღმოსავლეთ თურქეთით, კერძოდ მარდინის მხარეს, ან მის ჩრდილოეთისკენ.

პირველი დიპლომატიური ურთიერთობის დროს უკვე ფარაონ ამენჰოტეფი (ამენოფის) II-ის (1428-1400) გამოსობით, მითანსა და ეგვიპტეს შორის მყარდება ხანგრძლივი სამშვიდობო ურთიერთობები, რომელიც დინასტიური საქორწინო გარიგებითაც კი გვირგვინდება. მითანის მეფე ართათამა I, როგორც სავარაუდოა შაუშმათარის ძე, უგზავნის ფარაონს თავის ქალიშვილს, რათა შედგეს ქორწინება ფარაონსა და მითანის მეფის ასულს შორის. მიუხედავად ამგვარი პოლიტიკისა, მითანის სახელმწიფოსა და ეგვიპტეს შორის დავა, სირიის გერიტორიების გამო, წარმოებს თუგმოს IV-ის პერიოდამდე 1400-1390, რომელსაც თავის წყაროებში აქვს აღწერილი მისი საბრძოლო კამპანია ნაჰრინას წინააღმდეგ. თუმცა, თუგმოს IV-ის მართველობის ბოლო პერიოდ-შივე, საფუძვლიანად იცვლება ურთიერთობა, ამ ორ ძლიერ სახელმწიფოს შორის.

იმ დროინდელი მოვლენების მსგავსი დამოკიდებულების შემდეგ ეგვიპტემ და მითანმა სადავო გერიტორიები ისე გადაინაწილეს, რომ სირიის სანაპირო ზოლი და მისი ჩრდილოეთ ნაწილი, სავაჭრო მეტროპოლ უგარითამდე, ეგვიპტის ფლობელობაში მოექცა. ეგვიპტი-სად

ითვლებოდა ასევე ქალაქში და ამურუს მიწა. ქალაქები გუნიპი და ქათნა კი მითანმა დაისაკუთრა ისევე, როგორც ჰომსის მდიდარი მხარე.

როგორც ცნობილია, სამშვიდობო ხელშეკრულებები, ეგვიპტესა და მითანს შორის, განსაკუთრებით მაშინ მყარდებოდა, როდესაც მესამე სახელმწიფოს საშიშროება შეიგრძნობოდა, ხშირ შემთხვევაში კი პეთიგების ანუ ხეთების. თუმცა შემოთხსენებული კავშირის დროს ხეთების საბრძოლო აქტიურობა არ იგრძნობოდა. ყოველშემთხვევაში, ქრ.შბ-მდე XIV საუკუნეების ქრონიკიდან, მსგავსი ფაქტის დამადასტურებელი წყაროები არ მოიპოვება.

შემდგომ პერიოდში, როგორც ეგვიპტეში ისევე მითანში, მწვავე შიდა არეულობა და მილიტარიული რღვევები იჩენს თავს. ამ დროს გახტმე მყოფი, ართათამა I-ის ძე, შუთარნა II, იმეორებს მამის ნაბიჯებს და მის ასულ კელუ-ჰეფას, გზავნის საცოლედ ეგვიპტის ფარაონ ამენჰოტეფი III-ისთვის. შესანიშნავი ურთიერთობები ეგვიპტესა და მითანს შორის ვლინდება იმ ფაქტითაც, რომ შუთარნა II, ეგვიპტიდან გამოგზავნილ ფარაონის ავადმყოფობის წერილზე, ქალაქ ნინივედან, ამენჰოტეფი III-ს უგზავნის ქალღმერთ იშტარ-შავეუპკას ქანდაკებას, რომელსაც ავადმყოფზე მკურნალობის მებუნებრივი უნარი გააჩნია.

ამის შემდეგ შუთარნა II უგვეს ხეთებს, მათ მიერ კონტროლირებად გერიტორიაზე, კერძოდ ზემო ევფრატის მხარეს არსებულ იშუვაზე და ამ უკანასკნელს კვლავ თავის სამფლობელოში აქცევს.

შუთარნას გარდაცვალების შემდეგ, პალაუფლებისთვის ბრძოლა არყევს მითანის სახელმწიფო სტაბილურობას და როგორც ლურსმნური ხელნაწერების წყაროები გვაუწყებენ, მოვლენები ქართთა დინასტიის გაყოფით ვითარდება. ამ დროს შუთარნა II-ის მემკვიდრე ართაშუმარა, შეთქმულების მსხვერპლი ხდება და მისი მკვლელობის შემდეგ გახტს იკავებს მისი მცირეწლოვანი ძმა თუშრათა. მის მცირეწლოვნობის გამო, კარს მმართვეს რეგენტი "უთი" (უტი) რომელიც, როგორც ცნობილია, მემკვიდრის მკვლელობაში არ არის გარეული და სამეფო კარის ერთგულად ითვლება.

ეგვიპტესა და მითანს შორის კი ირღვევა ის დიპლომატიური ურთიერთობა მანამ, სანამ თუშრათა თავის ძმის მკვლელს არ გაანადგურებს და ამით, სამეფო სირცხვილს არ აღმოფხვრის, თავის სახელმწიფოში.

როგორც შემდგომ ირკვევა, ართაშუმარას მკვლევები ვერ პოულობენ ქვეყანაში საკმარის მხარდაჭერას და ხეთების დახმარებით, მხოლოდ ჩრდილოაღმოსავლეთ მესოპოტამიაში არსებულ, ავტონომიურ გერიგორიებს იკავებენ, საიდანაც ხეთების მიერ წაქეზებული, (თუშრათას მხრიდან მოღალატედ შერაცხული) „ართათამა II“ მითანის სამეფო გახტზე აცხადებს პრეტენზიას. წყაროების მიხედვით ართათამა II ვერ ახერხებს თუშრათას დამარცხებას, მოგვიანებით კი, მისი ძე შუთარნა III, ჩრდილოეთით არსებულ, ხეთების გავლენის ქვეშ მყოფ ასირიის მხარის მმართველად გვევლინება.

თუშრათას მეფობის ეპოქას, ეგვიპტური სახელმწიფო არქივიდან ვგებულობთ, კერძოდ, ქალაქ ამარნადან და აქედან არსებული ცნობებიდან, სადაც მოყვანილია

ფაქტები ხეთების მეფე სუფილულიუმას ეპოქის შესახებაც. ეს ცნობები განეკუთვნება იმ მნიშვნელოვან აღმოჩენას, რომელიც აჭარბებს, მითანის და ქართოპურიტების შესახებ არსებულ იმ საერთო ცნობებსაც კი, რაც რამ არქეოლოგიური მასალების შედეგად მოიპოვება. თუმცა აქაც იკვეთება გარკვეული სირთულეები, არსებულ ქრონოლოგიაში, სადაც გადმოცემულია ისტორიული მოვლენები და რესტავრირებულია მცირეოდენი ესკიზური რეკონსტრუქციის სახით.

ფარაონისთვის წარგზავნილ წერილში, თუშრათას საუბარი აქვს არა მარტო თავისი გახტის შენარჩუნების ფაქტებზე, არამედ იმ წარმატებულ თავდაცვით კამპანიაზე, ხეთების წინააღმდეგ, რაც მითანის გერიგორიაზე განახორციელა. ამის დასადასტურებლად იგი ფარაონს უგზავნის იმ ალაფის ნაწილს, რაც ხეთების დამარცხებისას ბრძოლის ველიდან მოიპოვეს. ხეთების შეტევა მითანის გერიგორიებზე დათარიღებულია ქრ.შ.მდე 14 საუკუნით და სავარაუდოდ სუფილული-უმას ხანას და იმ მოვლენას შეეფარდება, როდესაც ხეთები ცდილობენ, ჩრდილოეთ ანატოლიაში მყოფი კას-კების თავდასხმების შედეგად განადგურებულ, მათი სახელმწიფოს კვლავ კონსოლიდაციას, მოძლიერებას და მითანის მიერ მიგაცემული გერიგორიების დაბრუნებას, რაც კრახით სრულდება. საბოლოოდ, როდესაც ხეთების პრინცი სუფილულიუმა, მამის საბრძოლო დავალების შესრულებას იღებს, ხეთთა დროებით საგახ-გო ქალაქად სამუჰა მოიხსენიება, რადგან ხათუსა კას-კების მიერ მიწასთანაა გასწორებული.

ამას წინ უსწრებს, ის მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ხეთების საზღვრებთან აისახება, როდესაც ქართები, ძვ.წ XV საუკუნის მეორე ნახევარში, თავისი ძალაუფლების გამოყენებით, ქიზუვათნას სახელმწიფოს მითანის მფლობელობაში აქცევენ. XIV საუკუნის პირველ ნახევარში კი ქიზუვათნას მეფის სახელი საბოლოოდ ისპობა და მის ადგილს იკავებს „სუნაშურა“, რომელიც ქართების ქვეშევრდომად მოიაზრება და ხეთების სამეფოსთან ყოველნაირ კავშირს წყვეტს.

ისტორიული წყაროები ასახავენ მოვლენების ისე განვითარებას, რომ ხეთებს უხდებათ თავიანთ აღმოსავლეთ გერიგორიების ქართებისგან დაცვა. გარკვეული საზავო ხელშეკრულების შედეგად, ქიზუვათნას სამეფო, სრულიად ექცევა ქართთა მფლობელობაში და მეციც, ქიზუვათნას ეძლევა მხარდაჭერა ხეთების წინააღმდეგ, რათა მან დაიცვას, მასთან მოსაზღვრე, დამატებითი ავტონომიებიც.

ქიზუვათნას მმართველის, „სუნაშურას“ პერიოდში აღმოჩენილი ხელშეკრულებების შედეგად ირკვევა, რომ ამ უკანასკნელს თავის სამეფოში საკმაოდ ხან-გრძლივი მმართველობის ხანა ჰქონია.

ამ ისტორიულ მოვლენებში კი ყველაზე მთავარია ის, რასაც „მითანის უსგარი“ გადმოგვცემს და ორივე მხარის, ეგვიპტის და ქართული მითანის, ერთობლივ მოთხოვნა-შეთანხმებას უკავშირდება. აქ საუბარია იმ ჩვეულ ქორწინებაზე, ფარაონსა და ქართთა მეფის ასულს შორის, რომელიც ჯერ კიდევ ზემოდსხენებულ ართათამა I-ის და შუთარნა II-ის მეფობის პერიოდებიდან, ქართ-ეგვიპტელთა დინასტიურ გრადიციად იქცა.

როგორც მრავალგზის მოგახსენეთ, "მითანის წერილი" იმითაცაა ორიგინალური, რომ იგი ერთადერთი მოვლენაა, რომელიც ჰურით-ქართების ენაზეცაა შესრულებული (ის მეცნიერთა აზრით, ერთი შინაარსის მქონე ორ ენაზე შედგენილ წყაროს წარმოადგენს – როგორც ქართულ ისე აქალღურზე. თუმცა არსებობს წერილის მრავალი გაუშიფრავი მასალებიც. დიდად სავარაუდოა, რომ მითანის წერილის თიხის დაფები, ქართულ ენასთან ერთად კაშიტურ ენასაც ინახავდეს). იგი განსხვავებულია იმ სხვა წერილებისგან, რომლებსაც თუშრათა და მისი წინამორბედნიც, არა საკუთარ მშობლიურ ენაზე, არამედ აქალღურ ენაზე წერდნენ.

წარმოგიდგინებთ ამ უსგარის შინაარსს, რომელიც მეცნიერებმა გარკვეულწილად, აქალღურის ვარიანტის მეშვეობით გაშიფრეს. როგორც შინაარსიდან ირკვევა თუშრათა უგზავნის თავის ასულს, პრინცესა თათუ-ჰეპას, თანდართული ზემოდსხენებული წერილით, ("ნიმური-ას" ასევე [ამურიას], როგორც თვითონ უწოდებს,) ეგვიპტის ფარაონს, ამენჰოტეფ III-ს სასახლეში:

ნიმურიას, ეგვიპტის მეფეს, ჩემს ძმას, ჩემს სიძეს, რომელიც მიყვარს, რომელსაც ვუყვარვარ, სიყვით ასე საუბრობს თუშრათა, მითანის მხარის მეფე, შენი სიმამრი, რომელსაც უყვარხარ, შენ ძმას. მე კარგად ვარ. კარგად ყოფნასვე ვისურვებ- ჩემს სიძეს, შენს დიასახლისებს, შენს ბავშვებს, შენს უფროს-ხანდაზმულთ, შენს საბრძოლო არსენალს, შენს ცხენ-საჯინიბოს, შენს ლაშქარს, შენს ქვეყანას და შენს სამფლობელოს,- დიდ სიხარულს.

...

და ვითარცა ისურვე ქალი ჩემი... და მოგეც იგი შენ, და წარვგზავნე იგი შენივე ...

და აი გავეცე ქალი შენთვისვე, და წარვგზავნე ჩემს ძმასთან. როდესაც მოვა იგი ნახავ შენითვე... ..და შენივე გული აივსება დიდად მისი ხილვის სიხარულით. და მზითებს გამოგზავნილს, ნახავ შენივე...

და როცა მოვა ქალი შენივე, და წარსდგება შენს წინაშე... და ვისურვებდი ჩემმა სიძემ შეჰყაროს მთელი ქვეყანა და ყოველი ქვეყნიდან მთელი აზნაურ-მეთაურნი. თავკაცნი მთელი ქვეყნიდან მინდა თან დაესწრონ. დაე იხილო შენივე ნებით მზითი წარდგენილი. დაე იყოს კმაყოფილება და სიხარული შენივე და ყოველდა დამსწრეთა... ..მზითები წარმოდგენილი... ..დაე იხაროს ასულმაც ჩემმან!

და მანდ იქნება მამაჩემის ასული- და ჩემი, და მზითების ჩამონათვალი მის ხელში. და ასულიც ბაბუაჩემის- და მამაჩემისა და მზითები ხელთა მისთა. დაე გადმოეცეს მზითების ღაფა ხელსა შენსავე და ისმინდე ჩამონათვალს ორივე დაფისას. და სიმდიდრე ჩემგან მოძღვნილი მიიღე ჩემგან და ისმინე შენითვე, რომ მზითი აუარება, თვალწარმტაცე და შესაფერ-საკადრისია.

....მსურს, ჩემს ძმას, შორიდან ერთი რამ უთხრა, დაე ისმინე... ..საქმენი, რომელიც ჩემმა წინაპარმა პაპამ, ართათამამ, მამაშენისთვის გააკეთა, არის... .. და მე ამ გზავნილით იგი გავაათმაგე....

....დაე ჩემმა ძმამ დამაფასოს ჩემი ქვეყნის თვალში. დაე ნუ მაგკენს გულს ჩემი ძმა და ყოველივე ამის

სანაცვლოდ ვისურვებდი შენგან, ჩემი ასულის, ოქროსგან ჩამოსხმულ ქანდაკება-გამოსახულებას. მე ვიცი, რომ ჩემს ძმას ჩემი თავი ძალიან, დიდი გულით უყვარს, მე ვიცი, რომ ჩემი ძმისთვის ოქრო თავის ვეყანაში იმდენია როგორც... ..ბევრი. დაე სხვისთვის... ..სპილოს ძვლის ქანდაკება... ..გაილოს... ..ეს ოქროსგან ჩამოსხმული ქანდაკება თათუ-ჰეჰაა, თუშრაგას ასული, მითანის მბრძანებლისა, რომელიც იგი ეგვიპტის მბრძანებელს, როგორც მისი მეუღლე, გაუგზავნა და გააკეთებს რა იმურია თათუ-ჰეჰას ოქროთი ჩამოსხმულ ქანდაკებას, თუშრათა დიდი სიყვარულით მიიღებს“.

დაე ამ სიყვარულის გამო ჩვენ ძალიან... ..დიდად. დაე ჩვენს ქვეყნებშიც სუფევდეს სიმშვიდე.

ნურც იარსებოს მგერმა ჩემმა ძმისამ! მაგრამ თუ მგერი შენი, შორიდან შენი ქვეყნის დაცემას დააპირებს, გამოუშვი იგი შენივე ნებით ჩემსკენ და ჰუვორნების ჯარი, იარაღი და აღჭურვილობა მზად იქნება ჩემი ძმის მგრის წინაარმდეგ შესახვედრად. და თუ ასევე ჩემი მხრიდან მგერი არსებობდეს-

-ნურც იარსებოს მგერმა ჩვენზედა!- გამოვგზავნი მას ჩემი ძმისკენ და ჩემი ძმა მისი ეგვიპტელებით, ჯარით და იარაღით შეხვდება ჩემს მგერს....

....და თუ ვინმე, ჩემს ძმას, რაიმე ავ სიგყვას ეგყვის ჩემზე ან ჩემს ქვეყანაზე, არ მოუსმინოს ასეთ სიგყვებს ჩემმა ძმამ, თუ მანე და კელია (ეგვიპტელი და ჰურიითი წარჩინებულნი) ამას არ ამბობენ. სიგყვები, რომელსაც მანე და კელია იგყვიან ჩემზე და ჩემს ქვეყანაზე, არიან მართალნი და სწორნი და ამ სიგყვებს უნდა უსმინოს ჩემმა ძმამ! თუ ვინმე მეგყვის მე ჩემს ძმაზე და მის

ქვეყანაზე რაიმე ავს, მე არ მოვუსმენ ამ სიცივეებს, თუ ამას კელია და მანე არ ამბობენ. და რასაც კელია და მანე იცყვიან ჩემს ძმაზე და ჩემი ძმის ქვეყანაზე, იქნება სრული სიმაართლე და მე მას მოვისმენ.

და აი ყველა საქმე, რაც ჩემმა ძმამ მითხრა და ისურვა, ყოველი ათმაგად გავაკეთე და ჩემს ძმას, შორიდან, გული არ ვატკინე. და აი მანე, ელჩი ჩემი ძმის, კელია და არ-თესუპი და ასალი, ჩემი წარჩინებულნი- კელია უფროსია, ასალი არის ჩემი დაფის დამწერი...., მენსკენ ძალიან კეთილი განწყობით გამოგვგზავნე, და ჩემი ძმა ამას იხილავს.

დაე ნუ შეაყოვნებ შენივე გზავნილს, ... დაე დააჩქარე მათი წამოსვლა... და ჩემი ძმის ჯანმრთელობის შესახებ მინდა ვისმინო, და უზომოდ მოხარული ვიქნები მისი კეთილდღეობის მოსმენით.

ჩემმა ძმამ შეიძლება მითხრას: „შენ თვითონ შეაყოვნებ ჩემი გზავნილის გამოშვებას!“ არა, მე მას არ შევაფერხებ...

მოისურვებს ჩემი ძმა ჩემი გზავნილის დაჩქარებას?- მე მას გაუშვებ! დაე გამოგზავნოს ჩემმა ძმამ მანე და გაუშვა გზავნილი მასთან ერთად! სხვა გამყოლი ჩემმა ძმამ არ უნდა გამოგზავნოს, მხოლოდ მანე უნდა გამოგზავნოს! თუ ჩემი ძმა მანეს არ გამოგზავნის და სხვას გამოგზავნის, მე მას არ ვისურვებ და ჩემმა ძმამ ეს უნდა იცოდეს. არა ჩემმა ძმამ მანე უნდა გამოგზავნოს!

....

დაე ჩემს ძმასთან ერთად ვისურვებდი უზომო გულის სიტბოს და ერთურთის სიყვარულს. დაე ჩემს ძმას

უზომო ერთგულება დაეცვას. დაე ვიყოთ ერთმანეთისთვის და გვიყვარდეს გულით ერთურთი... ..როგორც სერის და მისი ღმერთის მიერ ჩვენი არსებობა და ბედისწერა იწერება, განაგონ ღმერთებმა ორივე ჩვენგანის ბედი, თესუპმა და ამანუმ ჩვენმა ღმერთებმა, ჩვენმა მამებმა, დაე გვფარავდნენ... ..დაე გვიყვარდეს ძმურად ერთურთი. როგორც აღამიანთ ძმის ღმერთის სიყვარული სურთ, ისე უნდა გვსურდეს ერთურთის სიყვარული....

ქორწინება შედგა, მაგრამ რამოდენიმე წლის შემდეგ, მათი ქორწინებიდან, ამენჰოტე III გარდაიცვალა და სადავეებს მისი შემცვლელი ამენჰოტე IV იღებს, რომელიც ეხნაგონის სახელით სრულიად ცვლის პოლიტიკურ კურსს და რელიგიურ რეფორმებსაც კი ახორციელებს ეგვიპტეში. ეხნაგონის დროსვე ჩნდება ბზარი იმ მრავალწლიან მეგობრულ დამოკიდებულებაში, რაც ქართვების მითანს და ეგვიპტეს შორის სუფევდა. ამ მხარეებს შორის ურთიერთობა წყდება და ხდება ორივე მხარის ელჩებისა და წარმომადგენლების ოფიციალური გაწვევა.

სხვა საფარაულო შეფასება და მოვლენების აღწერა უკავშირდება მითანის არასახარბიელ პოზიციას, როდესაც იგი ხეთების მხრიდან გამუდმებულ თავდაცვით ხასიათს ატარებს და ეგვიპტესთან და ბაბილონთან შედარებითაც თანდათანობით სუსტდება.

ამ დროს კი ხეთების პრინცი სუფილულიუმა, რომელიც ჯერ კიდევ მამამისის მეფობის პერიოდში, კასკებისაგან განადგურებულ სახელმწიფოს კვლავ აღდგე-

ნაში აქტიურად მონაწილეობდა, მახვილითა და ცეცხლით ახერხებს სამეფო ტახტის მითვისებას. ამ მოვლენების ზუსტი ქრონოლოგია არ მოიპოვება, გარდა ერთი წერილისა, სადაც სუფილულიუმა ფარაონს ტახტზე ასვლას ულოცავს. თუმცა აქაც გაურკვეველია, თუ რომელ ფარაონს ულოცავს იგი, ამენჰოტეფ IV-ეს თუ ტუტანხ-ამუნს.

სუფილულიუმას ხანგრძლივი მმართველობის არგუმენტად შეიძლება მისი შვილიშვილის ხათუსილ III-ის წერილი ჩათვალოს, სადაც ეს უკანასკნელი სუფილულიუმას მიერ, მცირე ამის გასათავისუფლებლად, წარმოებულ ბრძოლას და მის ოც წლიან პერიოდს აღწერს. ამასთანავე სრულიად შესაძლებელია, რომ ბევით თქმული ამბავი, სამწუხაროდ, ხათუსილ III-ის გადაჭარბებული და მხოლოდ ფრაგმენტულად გადმოცემული ცნობები იყოს და პერიოდულადაც არ ემთხვეოდეს, რადგანაც სუფილულიუმას სამხედრო მოქმედებები, როგორც პრინცის მიერ განხორციელებული და შემდგომი სამოღვაწეო პერიოდი, მისი შვილიშვილის გადმოცემით, სულ მთლიანად მოცემულ ოც წელიწადს მოიცავს. ის ფაქტი, რომ ხათუსილ III-ს მიერ დასახელებული, მრავალთაგან ერთ-ერთი ცვლილებების შემდეგ, მისი ბაბუა სუფილულიუმა თავისი წინამორბედი ძმის, არნუვანდა I-ის, შემდეგ მეფობს და თან სრულწლოვან პრინცადაც მოიხსენიება, გარკვეულ ეჭვს ბადებს მეცნიერებში და მიიჩნევენ, რომ როდესაც იგი ძალადობით ტახტის ხელში ჩაგდებას ბედავს, სულაც არ უნდა ყოფილიყო მთლად ასე ახალგაზრდა.

შესაძლოა, მან პოლიტიკური სადავეები, ამენჰოტეფ IV-ის შემდეგ ჩაიგდო ხელში და უფრო ზუსტი დათარიღება იქნება, რომ მას მილიგარისგული კამჰანია მცირეაზიაში, უფრო მოგვიანებით XIV საუკუნის 40-30-იან წლებში განხორციელებინა.

სავარაუდოა, რომ სუფილულიუმმა მითანში არსებული მემკვიდრეობითი განხეთქილება, თუმრათას ტახტზე ასვლის თაობაზე, ხელსაყრელად გამოიყენა და კავშირი, ამ უკანასკნელის პრეტენდენტთან, ართათამა II-სთან დაამყარა. იგი XIVს-ში გარკვეულ საბრძოლო დახმარებას უწევს ასურეთს და ათავისუფლებს მითანის სახელმწიფოსგან, რის შედეგადაც ასირიის მეფე პრეტენზიას აცხადებს, ჰანიგალბათის მეფის წინაშე, მის თანასწორუფლებიანობაზე.

ამის შემდეგ ფარაონ ამენჰოტეფ IV-ც აღიარებს ასირიის დამოუკიდებლობას, რაც მისსა და მითანის მეფის უკვე არასახარბიელო ურთიერთობით აისახება.

მითანის თანდათანობით დასუსტებას ხელსაყრელად იყენებს თვით ბაბილონიც და მისი მეფე გრადიციული პრეტენზიებით, აღმოსავლეთ ასირიის ვასალურ ქალაქ-სახელმწიფოებს და აგრეთვე არაფხას მხარეს, ქართუბისგან მოგლეჯვას და თავის შემადგენლობაში შემოერთებას ცდილობს. სწორედ ამას უკავშირდება ის პოლიტიკური ვითარება, როდესაც ბაბილონი, ქრ.შ-მდე 1340 წელს, თავს ესხმის არაფხას და სასამღვრო ქალაქ ლუბლიდან ქალაქ ზაბამდე, მიწასთან ასწორებს მთელ გერიტორიას. ამავე დროს კი, ასირიელები ჩრდილოეთ მხარეს იგდებენ ხელთ. ასირიელებს შეეძლოთ, თუმრათას წინააღმდეგ, მითანის ჩრდილოეთით მდებარე

ქვეყნიდან აღზესიდან, ჩრდილოაღმოსავლეთამდე შექმნათ საბრძოლო ფრონტი, რაც თუშრათას პრეტენდენტის ართათამა II-ის გავლენის სფეროს მოიცავდა, რომელიც ხეთების ფიგურად მოიაზრებოდა და სუფილულიუმას მოკავშირე იყო.

მითანი მარგო რჩებოდა სამ ცეცხლს შუა და მისი ძალებიც ნელ-ნელა სუსტდებოდა, რაც მის საბოლოო განადგურებას მოასწავებდა.

სუფილულიუმა კი ამ დროს ექსპანსიურ პოლიტიკას განაგრძობდა. მან გადალახა ეფრატი და დაიპყრო იზუგა აღზეს საზღვრებამდე, რომლის მეფეს ანგარაგლის მოუწია ახლად აღებული ქალაქის, კუთმარის დათმობა. საბოლოოდ ხეთების მმართველი მითანის ქალაქის ცენტრისკენ გაემართა, მაგრამ პირისპირ ბრძოლას მაინც მოერიდა (თუმცა ზოგი სამეცნიერო დასკვნების მიხედვით იგი უტევს და იღებს მითანის დედაქალაქს) და იერიში დასავლეთისკენ მიიგანა. იგი გადავიდა ეფრატის ზემო წელზე და აიღო მითანის კუთვნილი გერიტორიები, ეფრატიდან ხმელთაშუა ზღვამდე და თვით ქალაქ ქარქემიშამდე. ადგილობრივი თავადები თავის ვასალებად აქცია და მას შემდეგ რაც ეგვიპტის ქვეშევრდომად მყოფი ქალემის მეფე გადაიმტერა, გემი ლიბანისაკენ აიღო.

ძალის ამკარა უპირატესობისა და ეგვიპტელ მმართველთა უნიათობის გამო, ამურუს ქვეყნის მეფე, რომელიც ეგვიპტეს ეკუთვნოდა, იძულებული შეიქმნა სუფილულიუმას უზენაესობა ელიარებინა და მორჩილება აღეთქვა. ეს ცვლილება დიდი ხნის განმავლობაში სადაო იყო და მდგომარეობა, ერთი საუკუნის შემდეგ,

რამზეს II-ის და ხათუსილ III-ის სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ განიმუხტა.

თუშრათა კვლავ ცდილობს, რათა ბრძოლით დაიბრუნოს ნუჰასე, იგი გარკვეულ წარმატებასაც კი აღწევს, როდესაც ისევ უახლოვდება ეგვიპტის საზღვრებს და იღებს გერიტორიებს, მაგრამ ეგვიპტელთა პასიურობის გამო და ხეთების დიდი აქტიურობით მისი მოქმედება მარცხით სრულდება.

შემდეგი ცნობების მიხედვით, ქართთა გავლენის ქვეშ მყოფი ასირიის საბოლოოდ დაპყრობა, სუფილულიუმმა თავის სანდო გენერალს ლუჰაკის და მის ვაჟს გელიპინუს დაავალა. ამ დროს კი, ქართების და ეგვიპტის ჯარები, საპასუხო იერიშისთვის მოემართებიან. სუფილულიუმი გაქტიკას ცვლის და ეგვიპტე ქართთა წინააღმდეგ ბრძოლას, ლუჰაკსა და გელიპინუს ანდობს, თვითონ კი ასირიის საბრძოლო არეალზე ჩნდება.

იმ დროს როცა სუფილულიუმი ქარქემიშის აღებას ცდილობს, მისი გენერალი ქალემს უტევს, რაც ეგვიპტელთა მიერაა დაკავებული. მომდევნო საბრძოლო მოვლენების აღწერა მეცნიერებს, სამწუხაროდ, ვეღარ მოეპოვებათ, რაც ძალიან დიდ დანაკლისად ითვლება.

ამ ბრძოლიდან გარკვეული ხნის შემდეგ კი, ეგვიპტეში ფარაონი კვდება, ხოლო მისი ქვრივი, ეგვიპტის კარზე, სენსაციურ განცხადებას აკეთებს, კერძოდ, იგი ხეთების მეფეს სთხოვს თავის ვაჟიშვილს, რათა იქორწინოს მასზე და აქციოს იგი ეგვიპტის ფარაონად. (აქ მეცნიერთა აზრი ორადაა გაყოფილი. ამერიკელ და ზოგი მკვლევართა აზრით ამ განცხადებას გუგანხამონის

ქვრივი აკეთებს, ხოლო ევროპელი მეცნიერებს იგი ამენჰოტეფ IV-ის ქვრივი მიაჩნიათ.)

გარკვეული ყოყმანის შემდეგ სუფილულიუმა ეთანხმება ამ წინადადებას და გზავნის თავის ვაჟს ეგვიპტეში. თუმცა იგი ეგვიპტეში ვერ აღწევს, რადგან მას გზაზე ხვდებიან მცირე ამალით და სიცოცხლეს უსწრაფავენ.

ამის შემდეგ ხეთები იღებენ ქარქემიშს, რომელიც სტრატეგიულად დიდი მნიშვნელობის ციხე-ქალაქად მიიჩნეოდა და ამასთანავე იგი განთქმული იყო, როგორც საკულტო ქალაქი, მცირეაზიაში.

სუფილულიუმა ქარქემიშში თავისი ვაჟი, პიჯასილი დასვა მეფედ, რომელმაც ქართების საგახგო სახელი სარი-კუმუ უწოდა თავს. ის ქართული სახელები რაც შემდეგ ამ ქალაქების მმართველებს ამშვენებენ, გამომდინარეობენ სწორედ ამ ფაქტიდან, რომ მომავალში უკვე ტრადიციად მკვიდრდება, თუნდაც უცხო ერი-საგან, ქალაქ ქარქემიშში, მეფეთა ქართული წოდებები.

ხეთების მეორე მეფისწული კი, არანაკლებ მნიშვნელოვანი ქალაქ-სახელმწიფოს, ჰალაბის მეფე ხდება.

როდესაც თუშრათა დასავლეთ ეფრაგის სამფლობელოებს სამუდამოდ კარგავს, მის სამეფოში გრიალდება სამარცხვინო გრაგედია. მას კლავენ და მკვლელი სავარაუდოდ მისი ერთერთი ვაჟიშვილია. თუშრათა კვდება ისე, რომ მას აღარ ეძლევა საშუალება მითანის კვლავ გაერთიანების, რაც მისი უდიდესი მიზანი იყო.

მეორეს მხრივ კი ბევრად მეტს აღწევს, ქართითა დინასტიის, მეორე განშტოების წარმომადგენელი შუთარნა III, ვაჟიშვილი ჯერაც ცოცხალი, მაგრამ ღრმად

მოხუცებული ართათამა II-ისა. შუთარნა III-მ თავის ასურელი და აღსელები მოკავშირეებით მოახერხა მითანის აღება და მის მფლობელობაში მოქცევა. მან მთელი სამეფო განძი და დიდძალი ქართული საბრძოლო ეგლები ასურეთში გადაიგანა. შუთარნა იმდენად მოძლიერდა, რომ უკვე ხეთების ქვეშევრდომობასაც თავილობდა და ძლიერი მმართველობისკენ მისწრაფოდა, რა ღროსაც აქტიურად იყენებდა ასირიას. ამის გამო ხეთების მეფე იძულებული შეიქმნა გარე პოლიტიკური რაკურსი შეეცვალა, რათა მითანი შუთარნა III-ის და ასურეთის გავლენიდან, თავის გავლენაში მოექცია.

ამ ღროს თუშრათას მეორე ვაჟი შათივაზა, მითანის დაცემის შემდეგ, მცირე საბრძოლო ამალის დახმარებით, თავის სამეფო კარიდან, სავარაუდოდ თუშრათას მკვლელ აკით-თესუჰს გაურბის და ბაბილონისგან ითხოვს თავშესაფარს. როდესაც ბაბილონი მას მტკიცე უარს ეუბნება, იგი ჰალისის მდინარესთან სუფილულიუმას ხვდება და თავშესაფარს სთხოვს.

სუფილულიუმა ამ ვითარებას სათავისოდ იყენებს და ვინაიდან მას უკვე განზრახული აქვს ასურეთის პომიციების დასუსტება, შათივაზას თავის სამეფოში იღებს და მისგან ერთერთ გამორჩეულ ძალას ქმნის. სუფილულიუმა შათივაზას თავის ასულზე აქორწინებს და ქალაქ-სახელმწიფო ქარქემიშში მყოფ, მისი ვაჟის "სარი-ქუმუჰის" სამხედრო დახმარებას ავალებს. ამით მან მოახერხა, ასურელებისგან გამოეგლიჯა მითანის ქალაქები და მათ შორის მათი დედაქალაქი ვაშუკანიც.

ამ სახით, არსებული პოლიტიკური სახესხვაობა და ურთიერთდახმარება, სუფილულიუმასა და შათივაზას

შორის, გარკვეული სახელმწიფო ხელშეკრულებითაც განწესდა. მითანი როგორც სახელმწიფო კვლავ აღსდგა, ოღონდ ექცეოდა ხეთების დიდ გავლენის სფეროში. ის თუ რა გერიგორიებით იყო მითანი შემოფარგლული არაა ცნობილი, მაგრამ სავარაუდოა ამ დროისთვის მისი დიდი ღანაკლისი.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია მემოდხსენებული ხელშეკრულების ფრაგმენტებიც, სადაც მოცემულია, რომ შათივამა ტახტზე ასვლის დროს იყენებს ორ სახელს, როგორც ქართულს ისე ხეთურს და გვევლინება მეფე კილი-თესუჰად. (თესუჰი ამ შემთხვევაში ქართული ღვთაების სახელის მიხედვით.)

რაც შეეხება ქართულების სამეფოს მეორე მხარეს, რომელსაც, თუშრათას მხრიდან, მოლაღატედ შერაცხულ ართათამა II და მისი ვაჟი შუთარნა III წარმოადგენდნენ, სუფილულიუმა დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა მათ შორის არსებულ ვითარებას და მაინც აღიარებდა, შათივამას გამოჩენამდე დადებულ, ძველი ხელშეკრულების პირობებს. უფრო მეტიც, იგი ართათამა II-ის პოზიციას განიხილავდა როგორც ყველა ქართული ქვეყნების გიგულის მქონე მეფედ, რომელთაგანაც მითანი მხოლოდ ერთ მხარეს წარმოადგენდა. ამით კი აღსანიშნავია ქართული სახელმწიფოების გარკვეულ-წილად სახარბიელო პოზიცია და მრავლისმომცველი ერთეულები.

გარკვეული დროის მერე, ერთწლიანმა ეპიდემიებმა, რომელიც ანაკოლიაში მძვინვარებდა, სუპილულიუმას სიკვდილმა და მისი სატახტო მემკვიდრის, არნუვანდა II-ის გამეფებამ, საფუძვლიანად შეარყია ხეთების სა-

ხელმწიფო და მათი მხრიდან ქართულებზე კონტროლიც უკვე სრულიად შეუძლებელი გახდა. აღარ მოიპოვება ცნობები შათივამას შესახებ, მაგრამ სავარაუდოა, რომ იგი კვლავ ახერხებს მითანური სახელმწიფოს გამტკიცებას.

ჩვენამდე შემონახულია წყარო, სადაც ხეთები მითანს ფიცის გამტეხად და მოლაღატედ მოიხსენიებენ: „მითანი უღმერთოა, ფიცის გამტეხი და დასასჯელი“, ეს სიტყვები უეჭველია გამოწვეული იყო სუფილული-უმასა და შათივამას შორის ხელშეკრულების დარღვევის გამოისობით, როდესაც ქართინი უარყოფენ ხეთების ქვეშევრდომობას და დამოუკიდებელ პოლიტიკას არჩევენ.

ყველაზე უახლოესი ისტორიული წყარო, მითანის არსებობის შესახებ უკავშირდება, ასურელთა მეფის, გიგლათფილესერ I-ის პერიოდს.

ხეთების დედაქალაქიდან, ქართულების შესახებ, აღარ მოიპოვება ცნობები, მითანში შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე. მიმოწერის რამოდენიმე შემთხვევა კი არის, ხეთების დიდი მეფისა და ჰანიგალბათის მეფის შორის, რაც აქალურ გექსტებად განიხილებიან, მაგრამ მათი აწყობის შემთხვევაში გამოკვეთილი ინფორმაცია ძალიან მწირ და უმნიშვნელო ხასიათს აგარებს.

სამაგიეროდ მრავლისმომცველია შემდეგი ასურული წყაროები, რომელიც XIII საუკუნით თარიღდება. ამ დროისათვის ასურეთის ძლიერება პიკს აღწევს, რაც ქართულების, სამხრეთ გერიგორიაზე, გადაშენების საშიშროებას მოასწავებდა. მითანი ვეღარ ახერხებს, ვერც ეგვიპტიდან და ვერც ხათუსადან, სამხედრო დახმა-

რების მიღებას და ამით თანდათან კარგავს კვლავ ადღენის და გაძლიერების შანსს.

ბედის ირონიაა და ასურეთი, რომელიც უმნიშვნელო ქვეშევრდომად განიხილებოდა და რომელმაც თვით ქართთა მმართველების, ართათამა II-ის და შუთარნა III-ის ძალისხმევით, საკმაოდ შეძლებული სახელმწიფოს სახე მიიღო, გამალებული ცდილობს ქართთა სამუდამო, ძირფესვიანად განადგურებას. აქ შემორჩენილია ცნობები უკვე ასურელი მმართველების: ადად-ნირაარი I, სალმანასარ I და თუქულთი-ნინურგა I-ის მეფობებზე, რომელთა ხანაშიც ასურელები იპყრობენ მთელ ჩრდილოეთ მესოპოტამიას ეფფრატამდე.

ადად-ნირაარის წერილიდან, რომელიც XIII საუკუნის დასაწყისით თარიღდება, ვიგებთ ჰანიგალბათის მეფის შესახებ, რომელიც ქართული საგახგო სახელის მაგარებელია, როგორც შათუარა I. სავარაუდოა, რომ იგი შათივამას მემკვიდრე უნდა იყოს.

ტექსტი მოგვითხრობს, რომ ქართთა უძლიერესი დედაქალაქი ვაშუკანი მრავალჯერ დაპყრობილ-გაძარცულია და მოიხსენიება უშუკანად. განადგურებულია მეორე მნიშვნელობის ქალაქი გაიდეც. ტექსტი რომელიც, ასურელების მიერ, ადად-ნირაარის ახლად აგებულ სასახლეში იწერება, მოგვითხრობს:

როგორც შათუარა, ჰანიგალბადის მეფე, მგრულად მომეკიდა მე, რომელიც შევიპყარ ასურის სახელით, ჩემი პაგრონის, ჩემი დამხმარეს და დიდი ღმერთის სახელით, რომელიც მრჩეველია ჩემი; ვიპყარ და მოვაყვანინე ჩემს ქალაქ აშურში. მე შევაფიცინე მას და გაუშვი თავის ქვეყანაში. ყოველწლიურად, სანამ იგი

ცოცხალი იყო, ვიღებდი მისგან საჩუქრებს ჩემს ქალაქ აშურში.

მას შემდეგ, ამიჯანყდა მისი ვაჟი ვასაშათა და მგრულად მომეკიდა მე. მან მიმართა ჰათუს ქვეყანას დახმარებისთვის. ჰეთიგებმა აიღეს მისი საჩუქრები მაგრამ არ დახმარებიან მას. უძლეველი ასურის იარაღის, ჩემი ღმერთების— ანუს, ენლილის და ეას; მინის, მამას, ადადის, იშთარის და ნერიგალის დახმარებით, მძლეთამძლენი ღმერთებში, შიშის მარის მცემი ღმერთების, ჩემი პაგრონების დახმარებით დავიპყრე გაიდე, დიდი ქალაქი მისი სამეფოსი; ამასაკუ, კახათი, სურუ, ნაპულუ, ჰურუ, სულუჰუ და უშუკანუ მოვაქციე ჩემს ფლობელობაში. ავიღე ქალაქი, მამამისის საგახგო ქალაქი; განძი მთელი სამეფო სასახლის წამოვიღე და წამოვიყვანე ისიც ჩემს ქალაქ აშურში.

გაიდე დავიპყარი, გადავწვი, ძირს დავეცი და გავაცამტვერე. ტერიგორიები გაიდედან ირიდემდე, ელუჰათი და კამბაერი მათ სამღვრებად, სულუს მხარე, ჰარანის მხარე ეფფრატის ნაპირამდე დიდმა ღმერთებმა მე გადმომცეს და მე დავეცი ისინი. და მისი ჯარის დარჩენილი ნაწილი ტყვედ წავასხი. ყოველი მეუღლე მისი სასახლიდან, მისი ვაჟები, ქალიშვილები, ჯარი, დავატყვევე და ირიდედან ჩემს ქალაქ აშურში გამოვაძწყვედი. ირიდე და მისი სამფლობელოები დავიპყარ, გადავწვი, ძირს დავეცი, გავაცამტვერე...

მეცნიერებს კი მიაჩნიათ, რომ ადად-ნირაარი თავის ცნობებს შესაძლოა გადაჭარბებულად გადმოგვეცემდეს, მაგრამ ერთი რამ ნათელია; მას შემდეგ რაც ასურეთი ძლიერდება, ქართების კვალი თანდათან იშლება მესო-

პოტამიდიან. აღმოსავლეთით მდებარე მდინარე ჰაბურის ნაყოფიერი მიწები, რომელიც ჰურიტებ-ქარიტების ასევე, ჰაგურნ-ჰიბერებად წოდებული, ერის ისტორიულ საკუთრებაში იყო და მათ უძველეს კულტურულ ეკონომიკურ ცენტრსაც წარმოადგენდა, სამუდამოდ გადადის ასირიის მფლობელობაში. ამ დროს თვით ხეთების მეფეც იძულებული ხდება, ასირიის ახალი ძალაუფლება აღიაროს.

ვასაშათას მემკვიდრის როლი ანუ შათუარა II-ის, შესაძლებელია ხეთების დახმარების შემდეგ, ასირიის მომდევნო მეფის სალმანასარ I-ის (1263-1234) მოსისხლე მგრად და მოწინააღმდეგედ წარმოვიდგინოთ. სალმანასარის მემკვიდრე კი, თუქულთი-ნინურგა I (1233-1197), მოგვითხრობს სუბარებზე რომლებიც, არქაიმ-მულ-ლიგერაგურულ წყაროებში, ქარიტებად მოიხსენიებიან (აქვე დავურთავ, რომ სუბარები იგივე ჰუბარ-ჰიბერებად გვევლინებიან) და როგორც ასირიის მომდევნო მმართველი იუწყება, ისინი მამამისის ანუ სალმანასარის წინაშეც იდენდნენ დანაშაულს და ხარკს არ იხდიდნენ. ეს იმის მანიშნებელია, რომ ასურებს მაინც უჭირდათ ქართული ჰანიგალბათის ბოლომდე დამორჩილება.

თუქულთი-ნინურგა თვითონ უდგება ბრძოლას სათავეში ქართთა გაერთიანების წინააღმდეგ, რომელთაც ალბეს, ამაღანუს და პურულუმცის მხარეები წარმოადგენდნენ. (სხვათაშორის ნახსენებია გაძარი, რომელიც ჰურიტ-ქართული სიტყვის (*პურლი; პურულე*)-ს სახელს აგარებს და მათი მხრიდან დიდი თავყანისცემით გამოირჩევა.)

ადად-ნირარის დამანგრეველი პოლიტიკის შემდეგ, თუქულთი-ნინურგა, ქართთა გერიგორიებზე, დიდ გადასახლებებს და გენოციდს ახორციელებს, რაც ერთ დროს ძლევამოსილი მითანის სამეფოსთვის გამანადგურებელი შედეგით მთავრდება. ქარიტები მხოლოდ ჰანიგალბათის და მისი მცირე გერიგორიების ამარა რჩებიან. გადასახლებები კი ასირიელ მეფეთა მხრიდან, მითანის გერიგორიებზე, შეუქცევად ხასიათს აგარებდა.

ძვ.წ XII საუკუნის დასაწყისში ემხოზა ხეთების სამეფოც და მისი ძლევამოსილება, სამუდამოდ ბარდება წარსულს. ამას მოყვება მათ გერიგორიებზე ძველი კასკების და მომთაბარე გომების შეჭრა, რაც მწარედ აღსავს მათ სამეურნეო-ეკონომიურ ყოფას. ხეთების ნაწილი ახალმოსახლეებში ითქვიფება, ნაწილი კი გარბის და მემოზელ სახელმწიფოებს აფარებს თავს.

რა ვითარებაა XIII საუკუნის ბოლოს ჰანიგალბათში ეს უცნობია. უმცირესი ცნობების თანახმად, XII საუკუნის დასაწყისში, ცნობილია მისი მეფე ათალ-თესუპი. ახალ ასირიულ წყაროებში კი ჰანიგალბათი მოხსენიებულია გარკვეულ გერიგორიად, სადაც უკვე როგორც პოლიტიკური და დემოგრაფიული თვალსაზრისით არამეული წარმოშობის მოსახლეობა ჭარბობს.

თუმცა როდესაც ასურეთის მომდევნო მეფე გიგლათფილესერ I-ი (1114-1076), მიუხედავად მისი რთული შიდა პოლიტიკური დაძაბულობისა, ჩრდილოეთით და ჩრდილოაღმოსავლეთით გრძელ საბრძოლო კამპანიას ახორციელებდა, სრულიად მოულოდნელ ვითარებას გადააწყდებდა. აქ საუბარია ერთ გამორჩეულ მოვლენაზე, როდესაც ე.წ. მუსკულ (ასევე „მუსხუ“) წოდებული

ხალხი იჭრებიან ჩრდილოეთიდან და იკავებენ ქართულ ქალაქებს, როგორც ალბეს და პურულუმცის, ასევე მნიშვნელოვან ქათმუხის სამფლობელოსაც.

ამ ბრძოლის შესახებ ცნობილია არქეოლოგიური წყაროებიდან, რომლებიც ბემო გიგროსზე მდებარე მცირე ქალაქების გათხრების შედეგადაა ნაპოვნი.

მუსკები აგარებდნენ ქართულ სამეფო სახელებს, როგორც არიან: კილი-თესუპ, კალი-თესუპ, სადი-თესუპი და ლაპარაკობდნენ თვით პურიულ-სუბარულ ანუ ქართ-პუბერულ ენაზედ.

ქართულმა ერმა, მართალია, დაკარგა სამხრეთით არსებული უძველესი მხარე, მაგრამ მათი გულის ფეთქვა ჩრდილოეთით მდებარე გერიგორიებზე გრძელდებოდა. ძვ.წ XII საუკუნიდან მაგიანე ვითარდება ისე, რომ სამხრეთით, თვით პურიული ჰანიგალბადიც განიცდის დაცემას, მაგრამ ჩრდილოეთით მდებარე დიანების მხარეში, სავარაუდოა, სხვა ქართული გაერთიანების, დიანის (დიანის) ჩამოყალიბება. (დიანების მხარე მოხსენიებულია შუმერულ წყაროებში და პურიულ-ქართულთა გერიგორიის ჩრდილოეთ ნაწილად განიხილებოდა).

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი, მეგად უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელმაც ქართველური გენის, ძველ მიწა-წყალზე, დაბრუნება-დასახლება განაპირობა. ეს მოვლენა ალექსანდრე მაკედონელის ეპოქით აისახება, რაზედაც უკვე უძველესი ქართული ძეგლი "მოქცევაი ქართლისაი" მეტყველებს, სადაც ადგილი აქვს სამხრეთიდან არსებულ ნათესავ ქალდეველთა მასიურ დასახლებას, არიან-ქართლის მეფის ძის, აზოს მეშვეო-

ბით. როგორც ცნობილია აზო ჩრდილოეთ-კავკასიონის კალთებზე, ასახლებს ათას საზოგადო, ჰარიო- (ჰ)არიანთა და ოცამდე სამეფო "მამა-მძუძეთა" გვარს:

და თანა ჰყვა ალექსანდრე მეფესა აზოი, ძე არიან ქართლისა მეფისაი, და მას მიუბოძა მცხეთაი სახლომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი, და ეგრის წყალი, და სომხითი და მთაი ცროლისაი, და წარვიდა.

ხოლო ესე აზოი წარვიდა არიან ქართლად, მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვაი სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას და თანა ჰყვანდეს კერპნი ღმრთად გაცი და გა.

და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა აზოი, ძე „ჰარიან ქართულთა“ მეფისაი, და მოკულა.

და შემდგომად მისსა დაღვა ფარნავაზ...“

როგორც ჩანს ჰარიან-ქართლის წინაპარ-ნათესავთა: თუშრათა, შუთარნა, და შათივაზის შემდეგ პურიულ-ჰარიოთთა, ენას და გენს, ძველი ჩრდილოეთით, ჯერ აზო, შემდეგ ფარნავაზი აგრძელებს. სამხრეთიდან ნათესავთა გადმოსახლება რამდენჯერმე ხორციელდება მცხეთასა შიგან. საიდანაც არსებობას განაგრძობს ორ სახელოვანი ქართლის და იბერიის სამეფო, რომელიც ძველი „ჰარიო-ქარიოთის“ და „სუბერ-პუბერის“ წოდებითი ანალოგიაა.

დღედღეისობით საქართველოს ისტორიაში, უძველესი ჰურიტ-ქართების არსი ცნობილია, როგორც ასურეთის ჩრდილოეთით მდებარე მხარეში არსებული, "ნაირის ქვეყნების" პოლიტიკური გაერთიანება. როგორც მეცნიერი დავით მუსხელიშვილი განგვიმარტავს, ეს ხალხები მდ. მურად-სუსსა და დასავლეთ ევფრატისკენ არსებულ, მდ. ყარა-სუმის არეში მდებარეობდნენ. ამ ერთეულებიდან ყველაზე გამორჩეულ და ძლიერ მხარედ, ზემოდნახსენები დაიაენის მმართველობა გვევლინება, რომლის შესახებაც ასურული ლურსმნული დამწერლობები მეტყველებენ.

არაა ცნობილი, თუ საიდან წარმოიშვება, ამ მხარის მუსტი დასახელება, როგორც "ნაირის ქვეყნებისა". თუმცა დიდად სავარაუდოა, რომ "ნაირის" ტერმინში, ძველი ეგვიპტელების მიერ წოდებული "ნაჰარინა"-ციგულისხმებოდეს. (გვ. 39 და 48)

დღევანდელი ისტორიული მონაცემების მიხედვით: გიგლათფილესერი, ერთ-ერთ ლურსმნურ წყაროში, საკუთარ თავს უწოდებს "ნაირის ქვეყნების დამპყრობელს თუმედან დაიაენიმდე; და აგრეთვე კილხის ქვეყნის დამპყრობელს დიდ მღვამდე." აქ ე.წ. კილხი კი, კოლხეთის აღმნიშვნელი სახელწოდება უნდა იყოს.

გიგლათფილესერ I-ის სიკვდილის შემდეგ ასურეთი დიდ დასუსტებას განიცდის და საუკუნეების მანძილზე, თავდაცვით პოლიტიკას აწარმოებს, არამეული გომეების

წინააღმდეგ. მოგვიანებით კი გაძლიერებული ურარტუ ბორკავს ასურეთს და საგრძნობლად ავიწროებს მას.

ასურეთისთვის საბედისწერო დარცმას, მიდიის და ბაბილონის ერთიანი საბრძოლო კამპანიები წარმოადგენენ, რასაც, ძვ.წ VII საუკუნის დასასრულს, ასურეთის სრული განადგურება მოჰყვება და მისი ძლიერი სახელმწიფოებრიობაც სამუდამოდ აღიგვება პირისაგან მიწისად.

ქრონოლოგია ძველი ქართული ერის ცხოვრებისა კოლხა-დიაოხის, ურარტუსთან ბრძოლებითაც აისახება.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები, ქართებს და ურარტუელებს, ერთ ძველ მონათესავე ერებად განიხილავენ, ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებში, ეს ორი მხარე ურთიერთ მოქიშპე ერებად გვევლინება. თუმცა, როგორც მოგახსენეთ, მათი სახელმწიფოებრიობა და ენობრივი სახე, ძალიან ადრე ძვ.წ II ათასწლეულის პირველ ასწლეულში იყოფიან და ორ დამოუკიდებელ ასპექტად განიხილებიან.

მათ საერთო კულტურაზე მეტყველებს, უზენაესი ღვთაების არსიც, რომელსაც ქართები თესუჰს, ხოლო ურარტუელები "თეიშებად" ასახელებდნენ. ჰურიტ-ქართების თესუჰი უმნიშვნელოვანესი ღვთაებაა და წარმოდგენელი გავლენა გააჩნია, როგორც უძველესი ხალხის რელიგიაზე, ასევე სხვა გვიანდელი ერების მითოლოგიაზეც.

თესუჰს მისი სახით, ხასიათით და საბრძოლო აღჭურვილობითაც, რასაც ბუნების ძალები: ჭექა-ქუხილი, ქარი და წვიმა წარმოადგენს, სრული

დამთხვევით შეესაბამება ძველ ბერძნული "დცეუსის" ანუ "ზევის" სახეც.

გასაოცარი კავშირი იქნა აღმოჩენილი, ბერძნულ გვიანდელ მითოლოგიასა და ჰურიტ-ქართთა უძველეს ღვთაებათა ისტორიულ მონაცემებს შორის.

მითოსი ქართების ღმერთებისა, რომლებიც იერარქიული და ქრონოლოგიური მოვლენებით გამოირჩევიან, აღწერილია ერთ უძველეს დაფაბე და ამგვარ შინაარს აგარებს:

უწინ უძველეს დროში იყო „ალალუ“ ცის ღმერთი. ალალუ მის გახგრევიანზე. ძლიერი „ანუ“, პირველი ღმერთებს შორის, დგას მის წინაშე. მის ფეხებთან იხრება იგი, თაყვანს სცემს, საწმისს აწვდის მას შესასმელად.

ცხრა წელი იყო ალალუ ცის მეუფე. მეცხრე წელს გამოიწვია ალალუ ანუმ ბრძოლაში და დაამარცხა ალალუ. და ის გაექცა მას და წავიდა ძირს მიწის ქვეშ. ძირს ქვესკნელში წავიდა იგი, ხოლო ანუ დაჯდა გახგრევიანზე.

ანუ მის გახგრევიანზე, ძლიერი „კუმარბი“ ემსახურება მას. მის ფეხებთან იხრება იგი, თაყვანს სცემს, საწმისს აწვდის მას შესასმელად.

ცხრა წელი იყო ანუ ცის მეუფე. მეცხრე წელს იწვევს კუმარბი ანუს ბრძოლაში, კუმარბის თვალში აღარ მოსდის ანუ, ანუ უსხლგება კუმარბის ხელიდან და გაურბის მას. და ის წავიდა გეცისკენ; ფეხდაფეხ უახლოვდება კუმარბი, იგი ანუს ფეხებზე ავლებს ხელებს და ციდან ძირს ავლებს მას.

მას გენიგალიებში კბენს კუმარბი, ანუს გენი როგორც ბრინჯაო უერთდება მის შიგთავსს. როდესაც კუმარბი მის გენს ნთქავს, ხარობს და იცინის. ანუ უბრუნდება კუმარბის და ეუბნება: "შენ გიხარია შენი შიგთავსის, რადგან შენ ჩემი გენი ჩანთქე. არ გიხაროდეს შენი შიგთავსით! მე შენ შიგთავსში დარდი ჩავდე. ჯერ ერთი მე შენ რთული ამინდის ღმერთით დაგამძიმე; მეორეც მე შენ გიგროსის მდინარით დაგამძიმე, რომლის აგანასაც ვერ შესძლებ; მესამეც მე შენ რთული ღმერთით, თაშმისუთი დაგამძიმე, და ორი საშინელი ღმერთი როგორც ვარამი, შენს შიგთავსში მოვათავსე. შენ იქამდე მიხვალ, რომ საბოლოოდ შენი თავით დაუწყებ შენივე მთის კლდეებზე დარგყმას!"...

დაფის ის ნაწილი დაზიანებულია, რომელზეც მოთხრობილია, თუ რა გზით ახერხებს თესუპი კუმარბის დამარცხებას და გახგრევიანზე ასვლას. თუმცა ცნობილია, რომ იგი შემდეგში კუმარბის დაამარცხებს და ქვეშეთში ავლებს.

ისევე როგორც ჰურიტ-ქართულ მითოსშია, რომ "ანუ" მისი ვაჟისგან "კუმარბისგან" საჭურისდება; რის შემდეგაც კუმარბი თესუპთან მარცხდება; მსგავსი ბერძნული მითოლოგიური მოვლენით, "კრონოსი" მამამის "ურანოსის" კასტრაციის შემდეგ, ხდება გეცის მმართველი, მაგრამ ამინდის ღმერთ გეცსთან ბრძოლაში იგი მარცხდება და ძალაუფლებას თმობს.

მეცნიერებისთვის უცნობია, თუ როდის მოახერხეს ბერძნებმა ამ მითოლოგიური მოვლენების მითვისება. თუმცა ერთი მცირე რამ ძალიან გასათვალისწინებელია.

კერძოდ, ქართულ მითოსში, "სიმბოლური საწმისის" არსებობა, რომლის საშუალებითაც, მომავალი ღვთაებები ემსახურებიან მათ ზემდგომებს და ასმევენ მისი საშუალებით.

ვინაიდან ამ საწმისს ასეთი სიმბოლური დაგვირთვა გააჩნია და იგი შესაფერი დანიშნულებისამებრ, ყველა ღვთაების ხელით გამოიყენება, საფიქრებელია მისი სავარაუდო კავშირი, ბერძნების მიერ კულხადან გატაცებულ, ლეგენდარულ ოქროს საწმისს შორის.

დიდი საილუმლო იმალება, ძვ.წ VIII-IV საუკუნეებში არსებულ, ბერძნულ-ქართულ ურთიერთობებშიც, როდესაც ისინი კოლხეთის მხარეს, მრავალ ახალშენებს აარსებენ.

მაინც რას შეეძლო, ომის გარეშე, უცხო ერის მხრიდან, მსგავსი პოლიტიკა გამოეწვია?.. ოდიღანვე როდესაც არეალზე, გაძლიერებული სახელმწიფო ჩნდებოდა, საქართველოს ყოველთვის უწევდა მასთან ბრძოლა და დიდი წვალეების ფასად, მის წინაშე თვითდამკვიდრება. ძვ.წ IV საუკუნის ქრონიკიდან კი, ადგილი აქვს არა, საომარი მოქმედებებით, ქალაქების დაპყრობა-განადგურებას, არამედ ახალშენების დაარსებას, რამაც მოგვიანებით შავიზღვისპირეთში, მყარი და გავლენიანი ქალაქ-დასახლებების სახე მიიღო. ბერძენთა მიერ აღწერილ, ამ ისტორიულ მოვლენაში, არ არის მკაფიოდ მოხსენიებული, რომ ეს ქალაქები უშუალოდ ბერძენი მოსახლეობით გამოირჩეოდნენ. სამაგიეროდ დაწვრილებით გადმოსცემს, იგივე ეპოქის და მოვლენის ფაქტებს "მოქცევაი ქართლისაის" ქრონიკა, სადაც მაკედონელის მესვეურთა მხრიდან, სამხრეთ გერიგორიები-

დან, აზოს თაოსნობით, ათასობით ძველი არიან-ქართულთა (შესაბამისად ჰურიტ-ქართულთა) გვარის გადმოსახლებები ხორციელდება. ყოველივე ეს იძულებულს გვხდის, რომ მაკედონელთა და არიან-ქართველთა ელიტის განსაკუთრებული ურთიერთობა ვივარაუდოთ, რაც შეიძლება ჰურიტ-ქართულთა გამორჩეული ბრძოლისუნარიანობით ყოფილიყო გამოწვეული. ალბათ იმ კეთილგანწყობამ, რომელიც მაკედონელის თვალში მოიპოვეს, შესაძლებლობა მისცა ქართლებს, რომ თავიანთი გენი კვლავ მათ უძველეს, მიწა-წყალზე დაებრუნებინათ.

ამ ეპოქაში გასათვალისწინებელია აზოს ძალისხმევა, რომელმაც დალეწა, *მდინარესა გელა მგკუარსა მიუხევეით მსხლომარენი*, უცხო ბუნ-თურქთა ქალაქები და კავკასიონის კალთებზე, ერთიანი ქართ-ჰიბერნთა მოდგმა გაამყარა.

ჩემი ნება, რომ იყოს, აზოს სახელს უფრო მნიშვნელოვნად ვაღიარებდი და მისი მეფობის ხანას, ქართველთა მრავალათასწლიანი ეპოქის ცენტრადაც განვაწესებდი. თუმცა ჩემი ამგვარი მოსაზრება, გარკვეული თამამი ექსკურსია და ამ ეგაპზე ნაკლებად მნიშვნელოვანიც.

ამ წიგნში ერთადერთი უმნიშვნელოვანესი, "მითანის წერილი"-ს არსია, რომელიც უდიდეს ყურადღებას იმსახურებს და ძველი ერის ენობრივი საუნჯით გამოირჩევა.

აუცილებელია ღღეს, ჩვენი მეცნიერთა დელეგაციის ჩართვა და იმ უსგარის შესწავლა, რომელიც უნიკალური აღმოჩენაა და დასავლეთის მასალებშია დაცული. იგი ერთადერთი წყაროა, ძველ ჰურიტთა ენაზე შესრულებული და მისი გაშიფვრა მტკიცებულება იქნება, ჩვენი იმ უძველესი ისტორიისა, რომელსაც ცეც-

ხლითა და მახვილით გვიმაღავდა და გვინადგურებდა ყველა ეპოქის დამპყრობელი.

წარმოიდგინეთ მისი გაშიფვრა და გამოაშკარავეთ რამხელა გამარჯვება იქნება ქართველთა და მარცხი იმ მგერთა, ვინც მთელი ათასწლეულები ცდილობდნენ, ძველთაძველ ქართ-ჰიბერნთა, ისგორიული კვალის სა-მუდამო ჩაკვლას.

ჰურით-ქართთა მეფეების მმართველობის შკალა და მათი თანამედროვეები

ჰურით-ქართები	აქალ-შუმერი ბაბილონი ძე. ასირია	ხეთები (ხათუსა)	ეგვიპტე	ჰალაბ-ალაბსი	ასირია (აშური)
1	2	3	4	5	6
	სარგონი				
	ნარამ-სუენ (2151-2115)				
ქიქილიფ-ათალი (თუქრისიდან)	სარ-კალი-სარი (2114-2090)				
	გუთერების დრო (გუტიები) (2090-2048)				
შათარმათი	ურ III დრო (2047-1940) შუმერები				
არისენი (ათალ-სენი) (ურქიშ-ნამარიდან)	შულგი (2029-1982)				
თიშათალი (ნინიფედან)	ამარ-სუენა (1981-1973)				
თიშათალი (ურქიშიდან)	შუ-სუენი (1972-1964)				
თიშათალი (კარაპარიდან)	იბი-სუენი (1963-1940)				
არისენი [ათალსენი] (ბურუნდუმიდან)	ძე. ბაბილონის ხანა				
შუქრუმ-თესუპი (ელაპუთიდან)	ხამურაბი ბაბილონი (1728-1686)				
ნანიპ-შაეირი (ჰაბურათუმიდან)	შამში-ადადი ძე. ასირია				

1	2	3	4	5	6
შადღ-სარი (ამუხინუმიდან)	იმე-დაგანი ძე. ასირია				
თიშულმე (მარდამანიდან)	მიმრილიმი (მარიდან)				
სენამი (უშუმიდან)	შამშუდითანი (ბაბილონიდან) (1561-1531)	ხათუსილი I (1560)			
ანიშპურბი (პასუმიდან)		მურსილი I (1530)			
		ხანთილი		სარა-ელი	
		ციდანთა		აბა-ელი	
ფარათარნა (1470)			თუტმოს I (1497-1482) თუტმოს II (1482-1479)	ილიმ-ილიმა იდრიმი	
ქირთა (1460) შუთარნა I		ტელიპინუ	თუტმოს III (1479-1425)		
ფარსადათარი (1440)		თუტხალია I			აშურ-ნადინ- ახე
შაუმშათარი (შაუმსაღარი) (1420)		ხათუსილი II	ამენჰოთეფ II (1428-1400)	ნიქმეპა	
ფარათარნა II					
ართათამა I (1400)			თუტმოს IV (1400-1390)		
შუთარნა II (1380)		თუტხალია II	ამენჰოთეფ III (1390-1352)		
ართაშუმარა					
თურათა (1365-1322)		არნუვანდა I	ამენჰოთეფ IV -ეხნატონი (1352-1336)		

შუთარნა III ართათამა II-ის ძე		სუფილულიუმა I (1355-1320)		აშურ-უბალით I (1353-1318)
შათივამა თურათას ძე			ტუტანხამონი (1332-1323)	
შათუარა I (1290)		არნუვანდა II		
ვასაშათა		მურსილი II		აღად-ნირარი I (1295-1264)
შათუარა II (1240)		ხათუსილი III (1265-1236)	რამზეს II (1279-1212)	სალმანასარი I (1263-1234)
ათალ-თესუბი (1200)		თუტხალია IV		თუქელთი- ნინურტა I (1233-1197)
კილი-თესუბი				თიგლათფი- ლესერ I (1114-1076)
კალი-თესუბი				
სალი-თესუბი				
ღიაენ-ღაიენის ხანა				

1	2	3	4	5	6
ართათამა II					

სარჩევი

1. ავტორისგან.....	5
2. შესავალი	7
3. მითანის წერილი.....	15
4. ისტორია	25
5. დანართი.....	76